ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ალეკო ელისაშვილის „მოქალაქეებმა“ აგვისტოში რეკლამაზე 126.365 ლარი დახარჯა

გვ.3



ორშაბათი, 13 სექტემბერი, 2021 №170 (8699) ფასი: 60 თეთრი

# „კალაძე გახარიას კონკურენტი იქნება პირველ ტურში“



## გია ხუხაშვილი: „ოცნება“ და ნაციონალები ფაქტობრივად ერთი ძალაა“

გვ.2



„ვიღაცას სახლში მოუწევს წასვლა, ვიღაცას – ციხეში, ვიღაცას – გაქცევა და აი, ეს შიში აიძულებს ამ ადამიანებს, რომ ფაქტობრივად ნებისმიერ მანკიერებაზე მოაწერონ ხელი“

## „ივანიშვილს სრული უფლება აქვს, სამშობლოში იცხოვროს. პირველი პირები ქვეყნიდან არ უნდა გავაძევოთ“

გვ.3



მურმან დუმბაძე: „მეგის ქარდავა რატომ არ დაიჭირეს 2013 წელს, 2015 წელს, რატომ მაინცდამაინც ახლა?! რა ტრიუკებს გვიწყობენ?!“

## „ვადამდელი არჩევნები აუცილებლად დაინიშნება“

გიორგი ბოტკოველი: „თუ „ქართული ოცნება“ მზად არის, რომ მიხეილ სააკაშვილი ჩამოვა და მას გაუშვებს ციხეში, აბა რისი ეშინია და რა განცხადებებს აკეთებს?!“

გვ.4



გვ.3



## სოსო შატბერაშვილი: „სააკაშვილი ნაცმოძრაობაზე გაბრაზებულია“

გვ.5




## ქართველმა ქალმა ერაყელი შეიხის სახლიდან 2 მილიონ 600.000 დოლარი და 4 კილო ოქრო მოიპარა

ISSN 1987-9385

2 გოჩა მეშველიანი: „ივანიშვილის ფული მოიპარა მან, კობახიძემ ნახევარი მილიონი ხელში ჩაუთვალა“

5 იტალიის მოქალაქეს დიღომში მიწის ნაკვეთი წაართვეს

5 უკრაინა საქართველოს მეგის ქარდავას გადასცემს

მოსამართლე, რომელმაც ქარდავას საქმე განიხილა, გარდაცვლილი იპოვეს

6 „ჩვენი მოთმინება ამოიწურა. აშშ-ში ვაქცინაცია სავალდებულო ხდება“

# „კალაძე გახარიას კონკურენტი იქნება პირველ ტურში“

## გია ხუხაშვილი: „ოცნება“ და ნაციონალები ფაქტობრივად ერთი ძალაა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.**

***— ბატონო გია, წინასაარჩევნო პერიოდია და გვესმის შეფასებები, სერიოზული ისტერიული ფონიაო, რომ უნდა ველოდეთ კომპრომატების ომს, რომელიც უკვე დაწყებულია. რას ფიქრობთ ამ ყველაფერთან დაკავშირებით, როგორ აფასებთ არსებულ სიტუაციას, რამ გამოიყვანა „ქართული ოცნება“ წყობიდან?***

— შიშმა. ადამიანს წითელ ხაზებს აკვეთინებს შიში. შიში სხვადასხვაგვარი არსებობს. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ძალაუფლების დაკარგვის შიშთან. ეს შიში არ უკავშირდება მხოლოდ კეთილდღეობის დაკარგვას, უკავშირდება იმას, რომ დღეს „ქართულ ოცნებას“ მართავენ ადამიანები, რომლებსაც საერთოდ პრობლემა არ ჰქონიათ ცხოვრებაში, არც უბრძოლიათ. რა ელიტასთან გვაქვს დღეს ჩვენ საქმე? რომლებიც ბუჩქებიდან გამოძვრნენ 2013 წელს, არანაირ პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ, არც გაუპროტესტებიათ არაფერი არასდროს. ერთმა კაცმა აიყვანა ეს ხალხი და დასვა თანამდებობებზე. შესაბამისად, მათ აკლიათ გარკვეული შემართება, ვაჟკაცობა და ეშინიათ, რომ თუ ხელისუფლება დაკარგეს, ამით ცხოვრება დამთავრდება. ვიღაცას სახლში მოუწევს წასვლა, ვიღაცას — ციხეში, ვიღაცას — გაქცევა და აი, ეს შიში აიძულებს ამ ადამიანებს, რომ ფაქტობრივად ნებისმიერ მანკიერებაზე მოაწერონ ხელი, რაც წარმატებით გადმოიბარეს წინა ხელისუფლებისგან. მათ ხომ არაფერი მოუგონიათ, რასაც დღეს მამაძაღლობენ, ეს ყველაფერი უკვე კარგად იყო ცნობილი წინა ხელისუფლებისგან. ნამდვილი მემკვიდრეები გახდნენ იმ განუკითხაობის.

***— ფარული ჩანაწერები, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, შანტაჟი — ანუ ეს ყველაფერი რეალურია?***

— არაფერზე უარს არ ამბობენ. ამბობენ, რომ ისინი ნაციონალებს ებრძვიან, სინამდვილეში ნაციონალებს არ ებრძვიან. დღეს „ოცნება“ და ნაციონალები ფაქტობრივად ერთი ძალაა. ისინი ერთმანეთს კვებავენ და ასაზრდოებენ. სიმბიოზად ჩამოყალიბდნენ. აგრესიის ძირითადი ვექტორი მიმართეს იმაზე, რომ ემანდ ვიღაცა სხვა არ გამოჩნდეს, თორემ ნაციონალებთან ძალიან კარგად გრძნობენ თავს.

***— თავად ახსენეთ ეს თემა და რას ემსახურება მიხეილ სააკაშვილის განცხადებები? ეს არის „ოცნების“ დაკვეთა, რაზეც უკვე ბევრი საუბრობს თუ რეალურად არის იმის შანსი, რომ მიშა ჩამოვიდეს?***

— არა მგონია, ეს დაკვეთა იყოს. იმავე ამ სიმბიოზიდან ამოვდივართ. მისი ეს განცხადებები გარკვეულწილად ხელს უწყობს მისი ელექტორატის მობილიზებას, მაგრამ, ამასთანავე, ხელს უწყობს მეორე პოლუსის ანუ „ქართული ოცნების“ მობილიზებასაც. ის უქმნის „ქართულ ოცნებას“ საფუძველს იმისათვის, რომ ისევ მოახდინოს მისი დემონიზაცია, მიშა მოდის, მიშა მოდის, დაიძახოს და ადამიანები აიძულოს, რომ ცუდსა და უარესს შორის გააკეთონ არჩევანი. ვიცით, რომ ქართულ სინამდვილეში არსებობს სეგმენტი, რომელიც ასეთი ორპოლუსიანობის პირობებში ფიქრობს, ოღონდ მიშა არ ჩამოვიდეს და ჯანდაბას, ისევ ამათ მივცემ ხმასო, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ მაინცდამაინც არ ეხატება გულზე. აი, ამ მოცემულობის შექმნას უწყობს ხელს მიშას გააქტიურება წინასაარჩევნოდ. ამით მიშაც არაფერს კარგავს.



**„ვიღაცას სახლში მოუწევს წასვლა, ვიღაცას — ციხეში, ვიღაცას — გაქცევა და აი, ეს შიში აიძულებს ამ ადამიანებს, რომ ფაქტობრივად ნებისმიერ მანკიერებაზე მოაწერონ ხელი“**

***— საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებასაც ახდენს ამით.***

— რა თქმა უნდა. შეიძლება, მან ამ თავისი განაცხადით „ქართულ ოცნებას“ ვერ მოუგოს, მაგრამ, სამაგიეროდ, მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსს ინარჩუნებს. სხვას ალარავის აჭაჭანებენ პოლიტიკურ სივრცეში. ამით კი ორივე მხარე კმაყოფილია. შუას გაკრეფის მთავარი საკითხია. ეს, რა თქმა უნდა, არ არის გარიგების საგანი. ეს ორივე მხარეს აწყობს. საერთოდ, ბუნებაში არსებობს ასეთი სიმბიოზები ანდა ბუნებრივი ანტაგონისტი სიმბიოზები, რომელთა თანაცხოვრება თითქოს წარმოუდგენელია, იმიტომ რომ ბუნებაში ისინი ერთმანეთის მტრები არიან, მაგრამ არსებობს რაღაცა ისეთი ფაქტორი, რის გამოც ისინი თანაცხოვრობენ. მაგალითად, ბუ თავის ბუდეში აცხოვრებს გველს. რატომ, იცით? მას რომ საკვები მოაქვს თავისი ბარტყებისთვის, მწერები უჭამენ, ეს გველი კი მწერებს ანადგურებს. ერთი მხრივ, გველი და ბუ ხომ ვერ წარმოგიდგენიათ, მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი ურთიერთსარგებელს ნახულობენ. ასეთი სიმბიოზები არსებობს. დაახლოებით ამ ტიპის სიმბიოზი შექმნეს „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ. შესაბამისად, დღეს როდესაც ხმას აძლევ „ქართულ ოცნებას“, უნდა გესმოდეს, რომ პარალელურად ხმას აძლევ ნაციონალურ მოძრაობასაც და პირიქით, თუ ხმას აძლევ ნაციონალურ მოძრაობას, ხმას აძლევ „ქართულ ოცნებას“, ფაქტობრივად ამ ნაცქოცური მანკიერების მძევალი რჩები. შესაბამისად, თუ ამომრჩეველს უნდა, რომ რაღაცა გამოსავალი ვნახოთ ამ დახშული წრიდან, მან უნდა გააკეთოს ალტერნატიული არჩევანი იმისათვის, რომ ეს შულერული თამაში ერთხელ და სამუდამოდ დავამთავროთ.

***— სწორედ ამიტომ ხომ არ არის მიზანმიმართული ბრძოლა გახარიას წინააღმდეგ. მან დაურღვია იდილია „ოცნებასა“ და ნაციონალებს?***

— რა თქმა უნდა. პირდაპირ გეტყვით, ერთადერთი, ვინც დღეს ღიად ებრძვის ნაციონალურ მოძრაობას, გახარიაა. დღეს გახარიაა „ქართული ოცნების“ მთავარი პრობლემა. რატომ? იმიტომ, რომ ეს მანკიერი ორპოლუსიანობა გარკვეულწილად გაარღვია. მან სამობილიზაციო ელექტორატი წაართვა ზუსტად „ქართულ ოცნებას“. „ოცნება“ და ნაცმოძრაობა ელექტორალური თვალსაზრისით ერთმანეთის კონკურენტები არ არიან. ერთსაც თავისი ელექტორატი ჰყავს და მეორესაც. ეს სამობილიზაციო ელექტორატი, რომელსაც არ მოსწონს ეს ხელისუფლება „ქართული ოცნების“ სახით, მაგრამ არც იმისთვის არის მზად, რომ დაბრუნდეს წარსულში ნაციონალურ მოძრაობასთან და ყოველთვის იძულებული იყო, არჩევანი გაეკეთებინა ცუდსა და უარესს შორის, დღეს წაიყვანა გახარიამ. „ქართულ ოცნებას“ მიაჩნდა, რომ ეს ხალხი მისი საკუთრება იყო. ამ დროს გახარიამ წაიყვანა მისი ამომრჩეველი და საფრთხე შეუქმნა მის ძალაუფლებას. ბუნებრივია, გახარიაა დღეს მისი მტერი და არა ნაციონალური მოძრაობა. ამიტომ ებრძვიან ასე გააფთრებით, რომ როგორმე თამაშიდან გაიყვანონ და დააბრუნონ ეს სიმბიოზური მანკიერება, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ვუყურებთ.

***— სერიოზული კომპრომატების ომი დაიწყება ძალიან მალეო. რამდენად ელოდებით, რომ გახარიას ამოულაგებენ კომპრომატებს?***

— რა თქმა უნდა, ველოდები, სამწუხაროდ. ზნეს არ იცვლის ხელისუფალი. ის ყველაფერზეა წამსვლელი. შესაბამისად, უნდა ველოდეთ ათას სიბინძურეს. რეალურად კომპრომატი აქვთ, არა აქვთ, სხვა საკითხია, მაგრამ ტყუილს იტყვიან, რა პრობლემაა?! შარდის ანალიზებისა არ იყოს.

***— ეს რა კამპანია იყო?***

— აბსოლუტური სისულელე! უსინდისობა, პირდაპირ გეტყვით.

***— მიზანმიმართულად გააკეთა ეს კალაძემ?***

— აბსოლუტურად მიზანმიმართულად, ასე რომ ვთქვათ, ეჭვის ჩააგდო ამომრჩეველში, რომ ვითომ რაღაცა ხდება. სინამდვილეში, რაღაც კომპრომატი რომ ჰქონოდათ, აქამდე დადებდნენ. არაფერი აქვთ, მაგრამ ნერგავენ ეჭვებს, ვითომ რაღაცა ხდება. დიდი ბოდიში, მაგრამ, მგონი, კალაძემ სულ ტყუილად ირბინა შარდით, იმიტომ რომ ვერ ააგორეს ეს კამპანია.

***— მოღალატე, გამყიდველი, შესაძლო ნარკომანი... მათი პირველი პირი იყო და რკინის მინისტრს ეძახდნენ. სად იყვნენ აქამდე?***

— იმდენი არ ესმით, ამ ყველაფერს რომ ამბობენ, მათი პასუხისმგებლობა იკვეთება პირველ რიგში. ახლა რომ თვალის პაჭუნით გვეუბნებიან, გახარია ნარკომომხმარებელიაო, დიდი ბოდიში, მაგრამ ეს ადამიანი თქვენი ხელისუფლების დროს ჯერ ომბუდსმენი იყო, მერე — ეკონომიკის მინისტრი, მერე — შინაგან საქმეთა მინისტრი, პრემიერად ორჯერ აირჩიეთ და ნარკომანი აირჩიეთ?! ეს მათი კომპრომატია და არა გახარიასი, მით უმეტეს, რომ ეს სრული სისულელეა. დიდი ბოდიში, მაგრამ მეც ვიტყვი, რომ კალაძე უფრო ჰგავს ნარკომანს, ვიდრე გახარია. თან სად ატარებენ ექსპერტიზას, სამხარაულის ბიუროში. სანდოა სამხარაული, ნებისმიერ რაღაცაზე ხელის მომწერი საექსპერტო ბიურო?! თუ მაინცდამაინც ასე უნდა, კალაძემ ჩააბაროს რომელიმე სანდო საერთაშორისო საექსპერტო ბიუროში და არა შარდი, არამედ თმის ღერი, რომ დავრწმუნდეთ. არ არის მომხმარებელი და ძალიანაც კარგი, კარგია თუ სპორტულ ფორმასა და ცხოვრების წესს ინარჩუნებს, მაგრამ ის, რაც მან გააკეთა, აბსოლუტურად არადამაჯერებელია. სამხარაულს, რაც უნდათ, იმას დააწერინებენ. არ ვიცით? ვიცით, სამწუხაროდ!

***— არჩევნების წინ შეთანხმებას შეთანხმებაზე არღვევს „ქართული ოცნება“. პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებებს განიხილავს, საიდანაც უკვე ამოვარდა პროკურორის არჩევის წესიც. რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი მათი მხრიდან?***

— პროცესის დაკნინებას. ისინი ცდილობენ, ფასი დაუკარგონ ამ არჩევნებს, იმიტომ რომ ადგილობრივ არჩევნებს ხელისუფალი, ეს იქნებოდა თუ სხვა, ძალიან ადვილად ყიდულობდა, ძალიან მარტივი პრინციპით. ხელისუფალი ამომრჩეველს ეუბნებოდა, ეს არჩევნები არაფერს ნიშნავს, ხელისუფლებაში მაინც მე ვრჩები და ჯობია, ადგილებზე მერები და გამგებლები ჩემი წარმომადგენლები იყვნენო. ამას ნერგავდნენ და ძალიან იაფად ყიდულობდნენ არჩევნებს. შარლ მიშელის შეთანხმებამ კი ამ არჩევნების ფასი გაზარდა, ანუ გაჩნდა განცდა, რომ ამ არჩევნებზე არა მხოლოდ თვითმმართველობის არჩევნების, არამედ მთლიანად ძალაუფლების ბედი წყდება. დღეს ხელისუფლება ცდილობს, დააბრუნოს ის ძველი ნიჰილისტური განწყობა და არჩევნებს ფასი დაუკარგოს. ოპოზიციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ეს სკეპტიციზმი არ დაბრუნდეს საზოგადოებაში. უნდა დარჩეს განცდა, რომ ამ არჩევნებზე წყდება ბევრი რამ და მართლა წყდება. თბილისის მერი ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციის მქონე ფიგურაა. ყველაზე მეტი ადამიანი ირჩევს თბილისის მერს. თბილისის მერი თუ იქნა ოპოზიციონერი, მე ვფიქრობ, რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით საკითხი უკვე გადაწყვეტილი იქნება.

***— დაუშვებს „ოცნება“ ოპოზიციონერ თბილისის მერს?***

— ამისთვის ოპოზიციამ უნდა იბრძოლოს და დაიცვას არჩევნები. რა თქმა უნდა, არ დაუშვებს და ყველაფერს იკადრებს. ოპოზიცია რას მიკეთებს?!

***— ალბათ არც ოპოზიციაა დღეს მოწოდების სიმაღლეზე.***

— სამწუხაროდ, ასეა. ჩვენ ხომ მხოლოდ ხელისუფლების პრობლემა არა გვაქვს, ოპოზიციის პრობლემაც გვაქვს, ვერ მოძებნეს ხალხისკენ მიმავალი გზები. შენ თუ ხალხთან არ მიხვედი, ხალხი რატომ მოვა შენთან?! კი ბატონო, შესაძლოა, ხალხს „ქართული ოცნება“ არ მოსწონდეს, გავიგეთ, რომ ის არის ცუდი, მაგრამ, შენ რომ უკეთესი ხარ, ამას როდის იტყვი?! ამაზე საერთოდ არ ფიქრობენ.

***— ბატონო გია, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, რთულია, რაიმე პროგნოზი დაიდოს, მაგრამ რა მოლოდინი გაქვთ, შეძლებს „ოცნება“, გადალახოს 43%?***

— მაშინ, საშინელი გაყალბება უნდა იყოს, ასე რომ მოხდეს. ყველა რეკორდი უნდა მოხსნან, რომლებიც აქამდე გაუყალბებიათ. თუ საზოგა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გოჩა მეშველიანი: „ივანიშვილის ფული მოიპარა მან, კობახიძემ ნახევარი მილიონი ხელში ჩაუთვალა“



როგორ ჰპარავენ ფულს ბიძინა ივანიშვილს საკუთარი თანაგუნდელები — ფულით, რომელიც ივანიშვილმა ამომრჩეველთა მოსასყიდად გამოყო, მეოცნებეებმა ჯიპები იყიდეს, ნაწილმა კი ანტიკვარული ავეჯი შეიძინა.

— ბიძინა ივანიშვილის ფული მოიპარა მან. კობახიძემ პირადად ხელში ჩაუთვალა ნახევარი მილიონი ლარი, — აცხადებს „შაბათის ეთერთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ მოქმედი დეპუტატის, საქართველოს პარლამენტის წევრის გოგი მეშველიანის ძმა.

გოჩა მეშველიანმა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რიგები დემარშით დატოვა და „შაბათის ეთერის“ კამერასთან პირველად ყვება, როგორ აყალბებდა არჩევნებს მმართველი პარტია.

ბოლო დროის ყველაზე სკანდალურ ინტერვიუში მმართველ პარტიას ფაქტებით ამხელს ადამიანი, რომელმაც გუნდში ბევრი წელი გაატარა.

შაბათის ეთერის ხელშია „ქართული ოცნების“ მოქმედი დეპუტატის მინაწერებიც, სადაც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ოპოზიციის მხარდამჭერების ცოცხლად დაწვის ბრძანება გასცა.

მოკლე ტექსტური შეტყობინებიდან ირკვევა ისიც, როგორ აპირებს ოპოზიციის მხარდამჭერების ციხეში გაშვებას „ქართული ოცნება“.

„შეაგინონ, ყ** და მ***ი ეძახონ, იქნებ ხელი დაარტყან“, — ვკითხულობთ მიმოწერებში.

# იაგო ხვიჩია: „არჩევნებზე თუ მოხვალთ, „ტესლას“ ან „პორშეს“ მაინც მოიგებთ“



— ჩვენ ამომრჩეველს ძალიან გასაგებად ვეუბნებით: — ხალხო, არჩევნებზე მოსვლის ვერც ერთი მიზეზი რომ ვერ დაინახოთ, იცოდეთ, თუ მოხვალთ, „ტესლას“ ან „პორშეს“ მაინც მოიგებთ.

ამის შესახებ პოლიტიკური ჯგუფის „გირჩის“ წარმომადგენელმა იაგო ხვიჩიამ განაცხადა.

როგორც ხვიჩიამ აღნიშნა, ოპოზიცია იგივე ტაქტიკით თამაშობს, რომელიც წინა არჩევნებზე ჰქონდა:

— კვლავ არ აქვს კონკრეტული გეგმა, რა იქნება ბიძინა ივანიშვილის შემდეგ და რატომ უნდა აირჩიოს ამომრჩეველმა.

ხვიჩიას განცხადებით, ასეთი ტაქტიკით მოთამაშე ოპოზიციის პირობებში რთულია ამომრჩეველს აუხსნა, რატომ უნდა მივიდეს არჩევნებზე და რა შეიცვლება მისთვის.

— ყველა ოპოზიციური პარტია იმას ამბობს, რა შეიცვლება მათთვის, მაგრამ პრობლემაა იმის თქმა, ადამიანებისთვის რა შეიცვლება! ჩვენ მართლა ვცდილობთ ჩვენი სათქმელი შევაკოწიწოთ და ადამიანებისთვის გასაგები იყოს ჩვენი ნათქვამი არჩევნებზე მოსასვლელად. „ტესლასაც“ ამიტომ ვათამაშებთ — ადამიანებს ვეუბნებით, ხალხო, ამ არჩევნებზე არაფერი რომ არ მოხდეს, „ტესლას“ ან „პორშეს“ მოგების შანსი მაინც გექნებათ. ასევე ვეუბნებით: — გინდათ, ასეთი პრორუსული კურსით მოიგოს ხელისუფლებამ?! ხელისუფლებამ არჩევნები ანტიდასავლური გზავნილებით არ უნდა მოიგოს, — განაცხადა იაგო ხვიჩიამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილს სრული უფლება აქვს, სამშობლოში იცხოვროს. პირველი პირები ქვეყნიდან არ უნდა გავაძევოთ“

## მურმან დუმბაძე: „მეგის ქარდავა რატომ არ დაიჭირეს 2013 წელს, 2015 წელს, რატომ მაინცდამაინც ახლა?! რა ტრიუკებს გვიწყობენ?!“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო მურმან, რა ინფორმაცია გაქვთ, მიხეილ სააკაშვილი ამჯერად ჩამოვა?***

— ერთი, რაც დანამდვილებით ვიცი, არის ის, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტები საქართველოში უნდა იყვნენ და მათ პოლიტიკური საქმიანობის სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეთ. არ შეიძლება, პრეზიდენტები ქვეყნიდან გავაძევოთ და სასამართლო საქმეები შევუკეროთ. ეს გზა ამ ქვეყანას წარმატებას ვერ მოუტანს.

სააკაშვილი არის ის ადამიანი, რომელსაც ყველაზე დიდი პოლიტიკური წონა აქვს ქართველებს შორის პოლიტიკურ ასპარეზზე. ის დაფასებულია დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც.

***— დახვდებით?***

— მე ვიქნები პირველი ადამიანი, რომელიც სააკაშვილს დახვდება. ამით რაიმე თანამდებობას კი არ ვაძლევ, ჩემი ამ ჟესტით ვადასტურებ, რომ ყოფილი პრეზიდენტები ქვეყნიდან არ უნდა გავაძევოთ. ასე მოვექეცით პრეზიდენტ გამსახურდიას, ასე მოვექეცით სააკაშვილს. ეს უნდა დავასრულოთ. მიხეილ სააკაშვილსაც შეეძლო, შევარდნაძე ქვეყნიდან გაეძევებინა, მაგრამ ეს არ გააკეთა და ეს არის მისი პლუსი. ნებისმიერმა პრეზიდენტმა თავის სამშობლოში, თავისი მოქალაქეების გვერდით უნდა გაატაროს დარჩენილი ცხოვრება. ზვიად გამსახურდია ჩვენ, ქართველებმა ვერ დავიცავით. ამიტომ ხშირად მომყავს ეს მაგალითი.

***— იმავეს იტყოდით ბიძინა ივანიშვილზე?***

— რა თქმა უნდა. ვადასტურებ, ზუსტად იმავეს ვამბობ ბიძინა ივანიშვილზე. არავითარი მორალური და პოლიტიკური უფლება არ გვაქვს, რომ ეს ადამიანი ქვეყნიდან გავაძევოთ. ივანიშვილს სრული უფლება აქვს, სამშობლოში იცხოვროს. თუ ამ ხელისუფლებას დავამარცხებთ და მეორე დღეს დავიწყებთ ბრძოლას, რომ ივანიშვილი გავაძევოთ, მოქალაქეობა ჩამოვართვათ, სასამართლო ჩავატაროთ და დავიჭიროთ, ეს იქნება იმავე წრეზე ტრიალი. თუ ასე მოხდება, მე მაშინ დაჩაგრულის მხარეს ვიქნები. ამას დღესვე ვამბობ. ეს დაუშვებელია. ეს არ არის ქვეყნის წარმატების ფორმულა. ქვეყნის წარმატების ფორმულა თანამშრომლობაში, ძველის დაფასებასა და ახლის განვითარებაშია.

ქაობი უნდა დასრულდეს. ყველა ძალა გვჭირდება, მით უფრო მაშინ, როდესაც ქვეყნის 20% ოკუპირებულია და რუსეთის მიერ კონტროლდება.

***— მეგის ქარდავას ექსტრადირებაზეც მინდა გკითხოთ.***

— მეგის ქარდავა რატომ არ დაიჭირეს 2013 წელს, 2015 წელს, რატომ მაინცდამაინც ახლა?! რა ტრიუკებს გვიწყობენ?!

***— რატომ, ქვეტექსტს კითხულობთ?***

— რასაკვირველია. თურმე გარეჯი რომ საქართველოა, გავიგეთ 2020 წლის 31 ოქტომბრის წინა დღეებში. რატომ იყო ეს კაცი დღემდე უკრაინაში?! პოლიტიკური გარიგებაა, როგორც ჩანს, მაგრამ ეს ვერანაირ შვებას ვერ მოუტანს „ქართულ ოცნებას“. აქამდე რატომ ვერ დააკავა თუ არ დააკავა?! მე არ მაინტერესებს, 10 წლის შემდეგ ხელისუფლება დააკავებს თუ არა მეგის ქარდავას. მე მაინტერესებს, ამ ქვეყანას აქვს თუ არა ევროპული მომავალი. თუ ამ გზით ვივლით, მაშინ გარანტირებულად აღმოჩნდება საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ.

***— თავის დროზე სააკაშვილმა მეგის ქარდავასგან დისტანცირება მოახდინა, არ ვიცნობო. ეს სწორი საქციელი იყო მისი მხრიდან?***

— როგორც ვიცი, სააკაშვილმა თქვა, არ ვიცი, ეს კაცი რატომ არის უკრაინაშიო. არც ეს ნათქვამი ნიშნავს არაფერს. მიხეილ სააკაშვილის ნათქვამით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ. სამართლიანი, დამოუკიდებელი სასამართლოს ნათქვამი უნდა იყოს ყველასთვის კანონი. მურუსიძისა და ღარიბაშვილის სასამართლოსი არ მჯერა.

მე მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება დავამარცხე. ერთპარტიული და ერთპიროვნული მმართველობის დასრულებაში ჩემი წვლილი არ არის რიგითი, ძალიან დიდია და ამით ბედნიერი ვარ. ახლაც ვიბრძვი იმისთვის, რომ დავასრულო ერთპიროვნული მმართველობა.



***— ღარიბაშვილი ამბობს, ამათ ერთხელ დაანგრიეს ქვეყანა და ახლა ამის უფლებას არ მივცემთ, არავითარი არჩევნები არ იქნება სამი წლის განმავლობაშიო.***

— მე ღარიბაშვილის აშენებული ქვეყანა ვერ ვნახე, დანგრეული კი ვნახე. ვერ ვნახე ამ ცხრა წლის განმავლობაში აშენებული ვერც სიღნაღი და ვერც რაბათი. ვერც აშენებული ბათუმი ვნახე.

პირდაპირ გეუბნებით, რთული არჩევნები იქნება. რეჟიმები ძალიან რთულად ან საერთოდ არ მიდიან ბიულეტენით. ერთადერთი ხელისუფალი, რომელიც 30 წლის განმავლობაში საარჩევნო ყუთთან საარჩევნო ბიულეტენით შეიცვალა, მიხეილ სააკაშვილი იყო, თუმცა ოპოზიციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს ხელისუფლება ბიულეტენით დავამარცხოთ 2 ოქტომბერს საარჩევნო ურნებთან. თუ რეჟიმი არ აღიარებს დამარცხებას, მაშინ დაგვჭირდება ძალის კანონი. ამას პირდაპირ ვამბობ. ძალიან დიდი ბრძოლა რომ გველოდება, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ამ ხელისუფლებამ ათი წლის შემდეგ გადაწყვიტა მეგის ქარდავას დაჭერა.

# „სააკაშვილი ნაცმოძრაობაზე გაბრაზებულია“

## სოსო შატბერაშვილი: „ორი „კანონიერი ქურდი“ ჩემი კლასელია. მათგან ვიცი, რომ კრიმინალური ავტორიტეტები დღევანდელი ხელისუფლებით უკმაყოფილო არიან. თუ ასეა, გარიგებაზე ლაპარაკიც ზედმეტია“

მარიამ მჭედლიშვილი

**წინასაარჩევნოდ შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მემარცხენე ალიანსის თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.**

***— მმართველი პარტია ირწმუნება, რომ ოპოზიცია არჩევნებისთვის კი არა, პოსტსაარჩევნო არეულობისთვის ემზადება. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ?***

— მოსახლეობა ნიჰილიზმშია ჩავარდნილი. ბევრ ადამიანს არჩევნები არ აინტერესებს. იმისთვის, რომ საარჩევნო მობილიზაცია მოხდეს, ხალხს არჩევნების წინ აშინებენ. როგორც აქამდე ბევრჯერ ყოფილა, მოქალაქეებს სააკაშვილის დესპოტიით ემუქრებიან. სააკაშვილის რეჟიმისგან გამწარებული ბევრია. ადამიანებს არც დესტაბილიზაცია, ლარის უარესი გაუფასურება და სხვა უბედურება უნდათ. „ოცნება“ მიჩვეულია, რომ სააკაშვილით ხალხის დაშინება ჭრის. სააკაშვილიც კარგად ერგება ამ როლს. თვითონ სააკაშვილს ხელისუფლებაში მოსვლა კი არა, ნაცმოძრაობის მთავარ ოპოზიციად ყოფნა აწყობს. სააკაშვილის უკიდურესი გააქტიურება ყოველთვის ემთხვევა „ქართული ოცნების“ რეიტინგის დაწევას. ახლაც ასეა. სააკაშვილი მთელი თავისი პოლიტიკური ბიოგრაფიის დროს აკეთებდა იმას, რაც იყო რუსეთის გეგმებში. მარტო კოდორისა და ახალგორის ჩაბარება რად ღირს! ამ მიწებზე აფხაზები და ოსებიც არ აცხადებდნენ პრეტენზიებს. სააკაშვილმა კოდორი და ახალგორი რუსეთს უფეშქაშა. მისი ყველა პრორუსული ნაბიჯის გახსენება შორს წაგვიყვანს. დასანანია, რომ ქვეყნისთვის წაგლეჯილი „ფულებით“ სააკაშვილი და კეზერაშვილი მოქმედებენ საზოგადოებრივ აზრზე.



***— კეზერაშვილს სასამართლომ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.***

— ეს ახლა მოხდა, მაგრამ რა არის 5 წელი იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც კეზერაშვილმა ჩაიდინა! მილიარდები წაიღო. თანაც, რომ მიუსაჯეს, რას დააკლებენ?! კეზერაშვილი შორსაა. რომც დაიჭირონ, ალბათ, ჩაერევა ნახევარი მსოფლიო და მას პოლიტპატიმრად გამოაცხადებენ.

***— გამორიცხავთ, რომ რუსეთს საქართველოში ახალი დესტაბილიზაცია უნდოდეს?***

— ამის გამორიცხვა როგორ შეიძლება! სააკაშვილის გარდა, რუსეთს საქართველოში ჰყავს სხვა საყრდენი ქართველებშიც და სხვა ეთნიკურ ჯგუფებშიც. კრემლს მათი იმედი აქვს. არეულობა თუ მოხდა, ეს დასავლეთს დაჰბრალდება.

***— განმარტეთ.***

— თუ სიტუაცია ძალიან აირია, ეს წარმოჩნდება დასავლეთიდან მართული საქართველოს ხელისუფლების კრახად და მარცხად. რუსეთს უნდა, რომ პრორუსულმა ჯგუფებმა მოითხოვონ რუსეთის ჯარის შემოსვლა საქართველოში. რუსეთი დესტაბილიზაციასა და კონფლიქტს იყენებს საკუთარი მიზნებისთვის. ასეა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ყველამ ვნახეთ, რა მოხდა რამდენიმე თვის წინ ჩვენს რეგიონში. ყარაბაღის ომის შედეგად ყველაზე გამარჯვებული დარჩა რუსეთი. თუ მანამდე რუსეთის სამხედრო ბაზა სამხრეთ კავკასიის რეგიონში მარტო სომხეთში იყო განლაგებული, ახლა რუსეთის ჯარი ყარაბაღშიც (აზერბაიჯანში) ჩადგა.

***— თუ არ ჩავთვლით ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებს.***

— მანდ სხვა რამე მოხდა. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთმა ბაზები ძალით განათავსა. სომხეთმა და აზერბაიჯანმა ამაზე თვითონ განაცხადეს თანხმობა და კარი გაუხსნეს რუსეთის არმიას. კრემლს უნდა, რომ საქართველოდანაც იყოს მსგავსი თხოვნა. მოსკოვის გეგმაა, ჯარი ჰყავდეს მთელ სამხრეთ კავკასიაში.

***— თაკო ჩარკვიანმა შექმნა საერთო სახალხო მოძრაობა, რომელიც ხელს შეუწყობს სააკაშვილის მშვიდობიან დაბრუნებას საქართველოში.***

— ეს არასერიოზული, უფრო მეტიც, კომიკურია. ჯერ ერთი, ეს არის ნაციონალური მოძრაობისა და მისი ლიდერშიფის სირცხვილი. გამოდის, რომ ნაციონალური მოძრაობა, რომლის ბელადიც სააკაშვილია, ჩირგვებშია ჩამალული, სააკაშვილს კი სხვა სთავაზობს საყრდენს?! გარდა ამისა, თაკო ჩარკვიანისგან, რომელიც ჩემთვის პუბლიცისტია, ეროვნული ლიდერი და სახალხო მოძრაობის მეთაური არ გამოვა. როგორც კატა ვერ გადაიქცევა ლომად, ისე თაკო ჩარკვიანისგან ვერ დადგება ეროვნული ლიდერი. სააკაშვილი გაბრაზებულია ნაცმოძრაობაზე.

***— გაბრაზებული?***

— ამას მისივე განცხადებებიდან გამომდინარე ვამბობ. წინა წლებშიც უკმაყოფილო იყო, ხან ბარიკადების აღმართვას ავალებდა, ხან — მსხვერპლს ბავშვიანი თუ ორსული ქალის სახით. აქაურები ამ სისხლიან მოთხოვნებს ვერ ასრულებენ და ეს გასაგებიცაა. ახლა ავსტრალიელი მოქალაქის მკვლელობაზე ჰქონდათ ატეხილი ნაციონალებს ისტერიკა, მაგრამ ჩაჩუმდნენ.

***— არ გაჩუმებულან. ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება გარიგებულია კრიმინალურ სამყაროსთან და ბევრ დანაშაულზე თვალს ხუჭავს.***

— მე, იცით, რაზე ვლაპარაკობ? როცა ავსტრალიელი პედაგოგი მოკლეს, ეს ვაიოპოზიცია ამბობდა, მრცხვენია, რომ ქართველი ვარო. ახლა, როცა გაირკვა, რომ ის ეთნიკურად ქართველს არ მოუკლავს, ამაზე გაჩერდნენ. კრიმინალურ სამყაროსთან გარიგებაზე ჟრიამულიც არასერიოზულია. პირადად ვიცნობ კრიმინალურ ავტორიტეტებს. ორი „კანონიერი ქურდი“ ჩემი კლასელია. მათგან ვიცი, რომ კრიმინალური ავტორიტეტები დღევანდელი ხელისუფლებით უკმაყოფილო არიან. თუ ასეა, გარიგებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

***— ადგილობრივ არჩევნებს შევეხოთ. „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ მეორე ტურები არსად არ იქნება.***

— ჩემი აზრით, მეორე ტური არ იქნება თბილისში. კახა კალაძე პირველივე ტურში მოიგებს. მე და ჩემი პარტიელები მერის არჩევნებში დედაქალაქში კალაძეს ვუჭერთ მხარს. „ქართულ ოცნებას“, ბუნებრივია, ხმას ვერ მივცემთ. ჩვენ ჩვენი პარტია გვაქვს და მიგვაჩნია, რომ საკრებულოში ვიქნებით კონსტრუქციული ოპოზიცია — კარგსაც შესაბამის შეფასებას მივცემთ და ავსაც. კალაძემ ქალაქში ბევრი რამ უკეთესობისკენ შეცვალა, თუმცა არსებობს პრობლემები. ერთ-ერთი მათგანია გაუსაძლისი ხმაური ღამით და ავტოჯირითი. მემარცხენე ალიანსის წევრებს თბილისის საკრებულოში მუშაობის გამოცდილება გვაქვს. იმედია, ამას კიდევ შევძლებთ. განცხადება იმის შესახებ, რომ მეორე ტურები არსად არ იქნება, ბაქიბუქია. ზოგიერთ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში მოსალოდნელია მეორე ტურები, მაგალითად, ზუგდიდში.

# ფინანსთა მინისტრის მოადგილეებად ეკატერინე გუნცაძე და მირზა გელაშვილი დაინიშნნენ

საქართველოს ფინანსთა მინისტრ ლაშა ხუციშვილის წარდგინებით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიმდინარე წლის 9 სექტემბრის ბრძანებით ფინანსთა მინისტრის მოადგილეებად სამინისტროს მოქმედი თანამშრომლები ეკატერინე გუნცაძე და მირზა გელაშვილი დაწინაურდნენ.

ეკატერინე გუნცაძე საჯარო ფინანსების მართვის სპეციალისტია. 2008 წლიდან მუშაობს ფინანსთა სამინისტროში. 2015 წლიდან ეკავა საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა.

მირზა გელაშვილი პროფესიით ეკონომისტია. 2015 წლის დეკემბრიდან მუშაობს ფინანსთა სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე. ამ დრომდე ეკავა მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობა.

# ალეკო ელისაშვილის „მოქალაქეებმა“ აგვისტოში რეკლამაზე 126.365 ლარი დახარჯა



პარტია „მოქალაქეებმა“ 2 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში რეკლამაზე სულ 126.365 ლარი დახარჯა, მათ შორის პარტიამ ყველაზე მეტი, 118.365 ლარი გარე რეკლამისთვის გაიღო. ბეჭდურ რეკლამას 1500 ლარი მოახმარა, ხოლო სხვა სარეკლამო ხარჯებისთვის 6500 გამოყო.

აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, აგვისტოს სამ კვირაში ბეჭდური რეკლამისა და სატელევიზიო რეკლამისთვის გაწეული ხარჯები საანგარიშო პერიოდში შევსებული დეკლარაციის მიხედვით პარტიას არ უფიქსირდება.

დეკლარაციის მიხედვით, ალეკო ელისაშვილის პარტიამ ბილბორდებში 96.401 ლარი დახარჯა, ხოლო ქუჩაში დამონტაჟებული ეკრანის მომსახურებისთვის – 21.964 ლარი.

ამასთან, 2 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში პარტია „მოქალაქეებს“ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისგან შემოწირულობა არ მიუღია. საანგარიშო პერიოდში კი ალეკო ელისაშვილის პარტიას საბიუჯეტო დაფინანსების სახით 369.043.26 ლარი ჩაერიცხა.

# „ვადამდელი არჩევნები აუცილებლად დაინიშნება“

## გიორგი ბოტკოველი: „თუ „ქართული ოცნება“ მზად არის, რომ მიხეილ სააკაშვილი ჩამოვა და მას გაუშვებს ციხეში, აბა რისი ეშინია და რა განცხადებებს აკეთებს?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის წევრი გიორგი ბოტკოველი პასუხობს.

***— ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სიტუაციაც სულ უფრო იძაბება. ნაციონალურმა მოძრაობამ წინასაარჩევნოდ გადაწყვიტა შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელის მოწერა. რატომ და რა მოლოდინი გაქვთ?***

— რაც შეეხება წინასაარჩევნო კამპანიას, ყველა კარგად ხედავს, თუ როგორ აწარმოებს „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნო კამპანიას. კამპანია აგებულია ზიზღზე, შანტაჟზე, იმის მცდელობაზე, რომ დააშინონ მოსახლეობა. რაღაც აბსურდული განცხადებებით არიან დაკავებული და პრესკონფერენციას პრესკონფერენციაზე ატარებენ, ცდილობენ, შიში დათესონ მოსახლეობაში, თითქოს ნაციონალური მოძრაობა არ ემზადება არჩევნებისთვის და ემზადება არჩევნების შემდგომი დღისთვის, მაგრამ, ვიმეორებ, ეს არის შიში ყოვლად უავტორიტეტო ხელისუფლებისა და პარტიის მხრიდან, რომელიც ხედავს, რომ მას გამარჯვების შანსები არ გააჩნია.

***— ნაციონალური მოძრაობაც ხომ არ უწყობს ხელს „ოცნებას“ ამ შიშის დათესვაში, თუნდაც სააკაშვილის განცხადებებიდან გამომდინარე?***

— ამაზეც მოგახსენებთ. რაც შეეხება მათ განცხადებას შარლ მიშელის შეთანხმებიდან გასვლასთან დაკავშირებით, ეს განცხადება განცხადებაა და მეორე არის ის, რა პასუხის გაცემა მოუწევს შემდგომ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, თუმცა, იმასაც ვხედავთ, რომ ყველაფერს ცდილობენ საიმისოდ, რათა არა თავისი ურთიერთობა, არამედ ქვეყნის იმიჯი და ურთიერთობა გააფუჭონ ჩვენს პარტნიორებთან.

„ქართულმა ოცნებამ“ 43% კი არა, შეიძლება, 33% აიღოს, დღეს ისეთია მათი მდგომარეობა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს ყველა რეგიონში. დარწმუნებული ვარ, ისინი დანიშნავენ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, რადგან მოუწევთ იმ მარცხის აღიარება, რომელსაც ამ არჩევნებზე იწვნევენ.

ხალხმა ძალიან კარგად იცის, რომ ეს არის არჩევნები, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში და ეს არის რეალურად რეფერენდუმი, რომელიც შედგება ორ ოქტომბერს და ამაში ძალიან ბევრი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.

***— თქვენ ბრძანებთ, შიშს თესავს „ქართული ოცნებაო“ და სწორედ ამას გეკითხებოდით,***



***მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობაც თავიანთი განცხადებებით რატომღაც ხელს უწყობენ ამ პროცესს და აძლევენ ხელისუფლებას საშუალებას, იძახოს, მიშა მოდის, მიშა მოდისო. მართლა ჩამოვა სააკაშვილი თუ მხოლოდ „ოცნება“ შეძლებს ამით საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებას?***

— მეც სწორედ მაგით დავიწყე, რომ შეშინებული ხელისუფლების განცხადებებია, რამენაირად შიში დათესოს საზოგადოებაში. მიხეილ სააკაშვილის ამ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს ნამდვილად არ ეშინიათ. მისი ეშინიათ სწორედ „ქართული ოცნების“ გაზულუქებულ ჩინოვნიკებს, რომლებიც ამ პერიოდის განმავლობაში ხალხის ნაცვლად საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ და მხოლოდ ამით იყვნენ დაკავებული. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, ის არის ამ ქვეყნის შვილი, ამ ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც წაართვეს მოქალაქეობა და აპირებს, დაბრუნდეს თავის სამშობლოში. მე ამაში რაიმე განსაკუთრებულს ვერ ვხედავ. მას აქვს სრული უფლება, დაბრუნდეს და იცხოვროს იმ ქვეყანაში, რომლის განვითარებაშიც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის. ეს „ქართულმა ოცნებამაც“ მშვენივრად იცის, ასევე მშვენივრად იციან, რომ გარდა ნაციონალური მოძრაობისა, მათთვის ყველაზე დიდი საფრთხე მიხეილ სააკაშვილია. მიხეილ სააკაშვილი არ არის ქვეყნის საფრთხე, ის არის მხოლოდ გაზულუქებული ჩინოვნიკების საფრთხე, რომლებსაც, როგორც ჩანს, რაღაცის ეშინიათ. მე მოვუწოდებ მათ, მშვიდად და წყნარად შეეგუონ იმას, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ამ ქვეყნის შვილი, ამ ქვეყნის მოქალაქე, რომელიც იძულებით არის უკრაინის მოქალაქე. სწორედ დღევანდელმა ხელისუფლებამ შეუწყვიტა მას საქართველოს მოქალაქეობა. სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება არანაირ საფრთხეს არ შეიცავს.

***— ბატონო გიორგი, ალბათ თქვენც და მიხეილ სააკაშვილმაც მშვენივრად იცით, რომ თუ დაბრუნდება, მას მოუწევს ციხეში წასვლა. სწორედ ეს ხომ არ ითვალისწინებს თქვენს რევოლუციურ სცენარს?***

— თუ „ქართული ოცნება“ მზად არის იმისთვის, რომ მიხეილ სააკაშვილი ჩამოვა და მას გაუშვებს ციხეში, აბა რისი ეშინია და რა განცხადებებს აკეთებს?! რა დესტაბილიზაცია უნდა გამოიწვიოს ამ ყველაფერმა? რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილის ყველა ბრალი, რომლებიც მას წარდგენილი აქვს, მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამის გამოა, რომ ის არ დაბრუნებულიყო საქართველოში, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მიხეილ სააკაშვილი რომ საქართველოში ყოფილიყო, თვითონ ხელისუფლებას ექნებოდა შიში იმისა, რომ მასზე შეკერილი საქმე აღეძრა. ყველა ბრალი წარდგენილია იმის გამო, რომ ის საქართველოში არ ჩამოვიდეს. ამიტომ ძალიან კარგად აქვს მიხეილ სააკაშვილს გათავისებული ეს ყველაფერი და მისი დაბრუნება არის პროცესი, რომელიც ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანებისთვის უფრო მისაღებია, ვიდრე ის განცხადებები, რომლებიც კეთდება ხელისუფლების მხრიდან.

***— ანუ თქვენ ამბობთ, მიშა წამსვლელია იმაზე, რომ ჩამოვიდეს და ჩაჯდეს?***

— მოდით, ამაზე მერე ვილაპარაკოთ, როდესაც ის დააანონსებს დღეს, თუ როდის მოდის საქართველოში. აი, ამის შემდეგ ვისაუბროთ ამ დეტალებზე.

***— ბატონო გიორგი, საკონსტიტუციო ცვლილებებს განიხილავს პარლამენტი, ნაციონალურმა მოძრაობამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს პირველი მოსმენით. რატომ გადაწყვიტეთ მხარდაჭერა და ამ პროცესში მონაწილეობა?***

— ჩვენ ჩვენი პოზიცია გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებისგან მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა, რომ ისინი რაღაც სიურპრიზს შემოგვთავაზებდნენ და მათ საკონსტიტუციო ცვლილებებიდან ამოიღეს პროკურორის არჩევის წესი, ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენ ვფიქრობთ, დღეს ქვეყანას იმდენად სჭირდება იმ კონკრეტული საკითხის მოგვარება, რომელიც ითვალისწინებს, რომ საქართველოში იყოს დაბალი, 2%-იანი ბარიერი და პროპორციული არჩევის წესი, გვქონდეს მრავალპარტიული პარლამენტი და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, ჩვენ მხარი დავუჭირეთ კანონპროექტს, რომელიც ქვეყნის განვითარებისთვის უკეთესია. გეტყვით იმასაც, რომ ხელისუფლებამ რაც არ უნდა იძახოს, შემდეგი სამი წელი არჩევნები არ იქნებაო, ვადამდელი არჩევნები აუცილებლად იქნება.

# „კალაძე გახარიას კონკურენტი იქნება პირველ ტურში“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დოება ამასაც შეჭამს, მაშინ მეტს არ ვიმსახურებთ და ასე უნდა ვიცხოვროთ.

***— მეორე ტურის მოლოდინი თუ გაქვთ?***

— მეორე ტური თბილისში აუცილებლად იქნება. ამაში დარწმუნებული ვარ.

***— საინტერესოა, ვის და ვის შორის?***

— მე შემიძლია გითხრათ, რომ მელია ყველა შემთხვევაში იქნება მეორე ტურში. რატომ? იმიტომ, რომ მელიას ჰყავს თავისი ელექტორატი, რაც არ არის საკმარისი არჩევნების მოსაგებად, მაგრამ სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ის გადავიდეს მეორე ტურში, ხოლო გახარიასა და კალაძეს ჰყავთ ერთი ელექტორალური მასა, ერთი ელექტორატი, რომელიც რაღაც პროპორციით მათ შორის უნდა გადანაწილდეს. პირველ ტურში მელია არ არის არც ერთის კონკურენტი, იმიტომ რომ აქ ყველაფერი გარკვეულია.

***— ანუ კალაძე და გახარია არიან კონკურენტები?***

— დიახ, კალაძე გახარიას კონკურენტია პირველ ტურში.

***— შეხვედრაზე რას იტყვით, რომელიც კალაძესა და გახარიას შორის შედგა?***

— გახარია ცდილობს, დაამკვიდროს ცივილიზებული პოლიტიკური კულტურა. ხომ ხედავთ, შეურაცხყოფაზეც კი არ პასუხობს, არ ადის ამ სიძულვილის ტატამზე, ინარჩუნებს სიმშვიდეს და ცდილობს, პოზიტიური დღის წესრიგი ჰქონდეს. შესაბამისად, მისი ეს შეხვედრაც ამ სტილისტიკის, მისი კომუნიკაციის გაგრძელება იყო. მას ამ ადამიანთან ანუ კალაძესთან ნორმალური თანამშრომლობის წლები აკავშირებდა, მიდის და ეუბნება, რომ არ უნდოდა, ტელევიზიით გაეგო ამის შესახებ. ეს არის ცივილიზებული საქციელი, ღირსების საკითხია.

***— არადა, გამოვიდა ინფორმაცია, რომ ვაჭრობას ჰქონდა ადგილი...***

— ეს ფაქტი არ არის გახარიას კომპრომატი. ეს გახარიაზე დადებითად მეტყველებს. თუ ვინმეს კომპრომატზე შეიძლება ვიფიქროთ იმ დღეს, ამ შეხვედრაზე, ეს არის კახა კალაძის კომპრომატი. ამ შეხვედრის შემდეგ, იმავე საღამოს, მერიაში პროკურატურა შევიდა.

***— ანუ?***

— ვიღაცამ შეიძლება იეჭვიანა ამ შეხვედრაზე და იმავე საღამოს პროკურატურა მიუსიეს მერიაში.

***— ივანიშვილმა კალაძეზე უფრო იეჭვიანა ამ კონკრეტულ შემთხვევაში?***

— ასეთი დამთხვევა იყო და დასკვნები თავად გამოიტანეთ. ამ შეხვედრას მოჰყვა პროკურატურის შესვლა მერიაში. შესაბამისად, გახარიას ამ შეხვედრით არაფერი დაუკარგავს. თუ ვინმემ დაკარგა, დაკარგა კალაძემ და იმ დღის შემდეგ ყოველდღე დედას იფიცება, რომ „ქართული ოცნების“ ერთგულია, მანამდე კი ცოტა დისტანცირებული იყო „ოცნებისგან“, თუ გახსოვთ. ასე რომ, საინტერესო პროცესები გველის.

# ლიბერთის ახალი გუნდი და სტრატეგია

ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვასილ ხოდელმა საზოგადოებას ბანკის ახალი გუნდი და განვითარების სტრატეგია წარუდგინა.

ლიბერთი, რომელსაც საქართველოში ყველაზე ფართო საბანკო ქსელი გააჩნია და წლების განმავლობაში ემსახურება უფროსი თაობის მომხმარებლებს, აცხადებს, რომ ბანკი განვითარების ახალ ეტაპზე გადადის და მისი ახალი სტრატეგიული მიზანია, გახდეს უნივერსალური ფინანსური ინსტიტუტი ყველა ასაკისა და საჭიროებების მქონე მომხმარებლისთვის.

**„ახალი ლიბერთი ახალი ცხოვრებისთვის“** — სტრატეგია, რომელიც ამ მიზნის მისაღწევად დღეს ბანკის მენეჯმენტის ახალმა გუნდმა წარუდგინა საზოგადოებას, რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებისგან შედგება:

მომხმარებელზე მორგებული პროდუქტების შექმნა;

უმაღლესი დონის მომსახურების დანერგვა;

ახალი სეგმენტებისთვის საცალო, მცირე და საშუალო ბიზნესის, აგრობიზნესის განვითარების შეთავაზება;

ბანკის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ძლიერი, მდგრადი და ღია კორპორატიული კულტურის დანერგვას.



ლიბერთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) წარმოადგენს. ამ მიმართულებით ვასილ ხოდელმა დააანონსა ახალი პლატფორმა, რომლის ფარგლებში შეიქმნება CSR-ის სამეთვალყურეო საბჭო ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დამოუკიდებელ ექსპერტებთან თანამშრომლობით, ბანკის მენეჯმენტის ჩართულობით. ლიბერთი უახლოეს მომავალში საზოგადოებას გააცნობს სოციალური პასუხისმგებლობის ახალ პლატფორმას, წარუდგენს მის მმართველ საბჭოს და იმ პრიორიტეტებს, რომლითაც გეგმავს, განახორციელოს და მხარი დაუჭიროს გრძელვადიანი და მდგრადი კორპორაციული პასუხისმგებლობის პროგრამებს.

„დღეს ლიბერთის ახალ გუნდთან ერთად წარვადგინეთ კომპანიის ახალი ხედვა და სტრატეგია. მარტივი, გასაგები, ხელმისაწვდომი, გულისხმიერი და მზრუნველი — ეს არის ჩვენი — ლიბერთის გუნდის თითოეული წევრის ღირებულებები. სწორედ ამ ღირებულებებზე დაფუძნებული მომსახურება გვინდა შევთავაზოთ ჩვენს მომხმარებელს. ლიბერთი არის ქვეყანაში ერთ-ერთი სისტემური ბანკი და მსხვილი დამსაქმებელი კომპანია. ჩვენი გეგმებისა და დასახული მიზნების უკან სწორედ ის 5.000-მდე ადამიანი დგას, ვინც ყოველდღიურად ემსახურება 1.6 მილიონზე მეტ მომხმარებელს. ვფიქრობ, ჩვენი მიზანი — გავაუმჯობესოთ და უკეთესობისკენ შევცვალოთ ჩვენი მომხმარებლების, მათი ოჯახის წევრებისა და მათი ბიზნესის ცხოვრება, მუდმივად შევთავაზოთ სწორედ მათზე მორგებული პროდუქტები და სერვისები — შესაძლებლობას მოგვცემს, განსხვავებულ და საინტერესო ჭრილში დავინახოთ ახალი ლიბერთი“, — **განაცხადა ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვასილ ხოდელმა.**

ლიბერთის ახალ სტრატეგიას, საერთო ღირებულებების მქონე პროფესიონალთა გუნდის დამაჯერებლობასა და ბანკის პოზიციონირებას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ საბანკო სექტორის წარმომადგენლები. მათი შეფასებით, ლიბერთისთვის, რომელიც მრავალწლიანი ისტორიისა და გამოცდილების მქონე ბანკია, სიახლეები საჭირო და აუცილებელია.

„ლიბერთი ბანკის განახლებული სტრატეგია გაზრდის კონკურენციას ქართულ საბანკო ბაზარზე, უფრო საინტერესოს გახდის მუშაობას. ასევე, ეს იქნება ნიშანი მეორე რიგის ბანკებისთვის, უფრო აქტიურები გახდნენ. ჩვენ, როგორც საბანკო სექტორის წარმომადგენლები, მხოლოდ და მხოლოდ ვგულშემატკივრობთ ახალ წამოწყებას. აღნიშნული წამოწყება არის ბუნებრივი განვითარება იმ 26– წლიანი გამოცდილებისა, რომელიც ლიბერთი ბანკს გააჩნია“, — განაცხადა საბანკო ასოციაციის პოლიტიკურმა დირექტორმა დავით რუსიამ.

საქართველოს ბიზნესასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან ვეფხვაძემ ახალი ლიბერთის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ აღნიშნა, რომ ახალმა მენეჯმენტმა შეძლეს მისი დარწმუნება, რომ ბანკი წარმატებული იქნება: „რაც მომეწონა პრეზენტაციაზე, არის ის, რომ თვითონ მენეჯმენტი დარწმუნებულია სიახლის განხორციელებაში. მე ძალიან დამარწმუნეს ამ ადამიანებმა, რომ ბანკი იქნება წარმატებული ამ სიახლეებით, რაც დღეს მოიტანეს, იმ ახალი პროდუქტებით, მათ შორის ბიზნესისთვის, ადამიანებისთვის, მათი მომხმარებლებისთვის“, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

„ზოგადად, საბანკო სექტორისთვის აუცილებელია, სისტემური ბანკი და ზოგადად საბანკო დაწესებულებები განვითარდნენ. თუ ლიბერთი ბანკი დაიკავებს მსუყე და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს საბანკო სექტორში, რა თქმა უნდა, ეს იქნება მთლიანად საბანკო სექტორისა და ეკონომიკისთვის პოზიტიური. ამდენად, ვფიქრობ, რომ ლიბერთი შეძლებს ამბიციური გეგმების მიღწევას, რასაც ახალი სტრატეგია ითვალისწინებს“, — განაცხადა ეკონომისტმა ანდრია გვიდიანმა.

ლიბერთის საქართველოში ყველაზე ფართო საბანკო ქსელი აქვს. ბანკი 1.6 მილიონ მომხმარებელს ემსახურება მთელი ქვეყნის მასშტაბით და ფლობს 329 ფილიალს. ახალი ლიბერთი ახალი იდეებითა და განვითარების ახალი სტრატეგიით ყველა ასაკის მომხმარებელს კიდევ უფრო მეტ სიახლეს ეტაპობრივად შესთავაზებს.

# შანაი ბრუკის მკვლელობისთვის პროკურატურამ რაფაელ მურსაკულოვს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ავსტრალიის მოქალაქე შანაი ბრუკი ედუარდსის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე რაფაელ მურსაკულოვს ბრალდება წარუდგინა.

შესაბამისი განცხადება გენერალურ პროკურატურა გაკეთდა.

„საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 30 ივლისს, დაახლოებით 16:00 საათზე, თბილისში, მთაწმინდის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბრალდებული ყაჩაღურად, პირადი ნივთების დაუფლების მიზნით თავს დაესხა შანაი ბრუკი ედუარდს. მსხვერპლის მიერ გაწეული წინააღმდეგობის გამო, ბრალდებულმა, ყაჩაღობის გაადვილების და შემდგომში მისი დაფარვის მიზნით, ანგარების მოტივით, მისი მოკვლა გადაწყვიტა. ბრალდებულმა შანაი ბრუკს დანით კისრის არეში მიაყენა დაზიანება და გაგუდა. ამის შემდეგ იგი მსხვერპლის პირად ნივთებს დაეუფლა და დანაშაულის კვალის დაფარვა ცადა, ცხედარს ხის ტოტები დააფარა, დანაშაულის იარაღი – დანა მიმდებარე ტერიტორიაზე გადააგდო და ადგილიდან მიიმალა.

გამოძიების პროცესში ჩატარდა რამდენიმე ასეული საგამოძიებო მოქმედება. გამოიკითხა 200-ზე მეტი პირი, მათ შორის გარდაცვლილი ქალის მეგობრები, თანამშრომლები, მეზობლები, დანაშაულის დღეს მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე მყოფი და იქ დასაქმებული პირები. საქმის მოწმეებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დამნაშავე პირის იდენტიფიცირების მიზნით, შეიქმნა ფოტორობოტი, რომელიც გაეგზავნა ყველა ოპერატიულ დანაყოფს.

შესწავლილია შანაი ბრუკის გადაადგილების მარშრუტები და ამოღებულია ასევე, შემთხვევის ადგილის, გარდაცვლილის დროებითი საცხოვრებელი სახლის და მთაწმინდის პარკის მიმდებარე ქუჩებზე განთავსებული, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის – „112"-ის და კერძო ობიექტების კუთვნილი რამდენიმე ათეული ვიდეოსამეთვალყურეო კამერის ჩანაწერი. დანიშნულია დაქტილოსკოპიური, ტრასოლოგიური, ბიოლოგიური და გენეტიკური ექსპერტიზები.

გამოძიების მიერ შეკრებილი მტკიცებულებების, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებების, ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების, გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, მოსამართლის განჩინებით, სამართალდამცავებმა 8 სექტემბერს რ.მ. დააკავეს.



მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით), 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" და მესამე ნაწილის „გ" ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით; ანგარებით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა სასამართლოს მიმართავს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით", – განაცხადეს პროკურატურაში.

10 სექტემბერს რაფაელ მურსაკულოვს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა გამოაცხადა.

ბრალდების მხარე რაფაელ მურსაკულოვის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, დაცვის მხარე კი დაკავებულის საერთოდ აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდა.

საქმის პროკურორი გიორგი ქობულაძე აცხადებდა, რომ დაკავებულის მხრიდან როგორც მიმალვის, მტკიცებულებების განადგურების, ასევე მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე არსებობს. პროკურორის თქმითვე, რაფაელ მურსაკულოვმა ცადა და გაანადგურა მტკიცებულებათა ნაწილი, დანაშაულის იარაღი, მხოლოდ დანის ტარი იქნა ამოღებული.

ქობულაძის თქმითვე, ბრალდებული წარსულში ნასამართლევია, რაც მას ახლა გაქარწყლებული აქვს. პროკურორის განმარტებით, წარსულში მის მიმართ სხვადასხვა შეღავათი იყო გამოყენებული, თუმცა მან ახალი დანაშაული მაინც ჩაიდინა.

პროკურატურის შუამდგომლობას არ დაეთანხმა დაცვის მხარე და მან დაკავებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება მოითხოვა. როგორც ადვოკატმა სოფიო გოგლიჩიძემ განმარტა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი არსად მიმალულა.

სხდომას ესწრებოდა თავად ბრალდებულიც.

# უკრაინა საქართველოს მეგის ქარდავას გადასცემს

## მოსამართლე, რომელმაც ქარდავას საქმე განიხილა, გარდაცვლილი იპოვეს




უკრაინის იუსტიციის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს გადასცეს სამხედრო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის რამდენიმე ეპიზოდში ბრალდებული მეგის ქარდავა.

შესაბამისი გადაწყვეტილება ქარდავას უკვე ჩაბარდა. ის საექსტრადიციო პატიმრობაში გადაიყვანეს.

11 სექტემბერს კიევის ოლქის ერთ-ერთ რაიონში საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს მოსამართლე ვიტალი პისანცი, რომელმაც გასულ კვირას მეგის ქარდავას საქმე განიხილა.

მან გარდაცვალებამდე სახლში რამდენიმე პირს უმასპინძლა.

მეგის ქარდავას გენერალ რომან დუმბაძის მკვლელობის საქმეზე ბრალი წაუყენეს 109-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას ითვალისწინებს. გამოძიება მას დანაშაულის ორგანიზებასა და მკვლელობის დაკვეთას ედავება; ასევე თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან თანხების მითვისების გამო ქარდავას 2013 წელს დაუსწრებლად შეეფარდა პატიმრობა და მასზე გამოცხადდა ძებნა.

ქარდავას ბრალი ედება რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეში. მათ შორის, სამეგრელოში აღმოჩენილი საიდუმლო სამალავების საქმეზეც. 2014 წელს მას დაუსწრებლად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ის არის ერთ-ერთი ფიგურანტი სერგო თეთრაძის წამების ორგანიზების საქმეში სასჯელაღსრულების ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიასთან ერთად.

მეგის ქარდავას გენერალ რომან დუმბაძის მკვლელობის საქმეზე ბრალი წაუყენეს 109-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას ითვალისწინებს.

გამოძიება მას დანაშაულის ორგანიზებას და მკვლელობის დაკვეთას ედავება; ასევე თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან თანხების მითვისების გამო, ქარდავას 2013 წელს დაუსწრებლად შეეფარდა პატიმრობა და მასზე გამოცხადდა ძებნა.

# შალვა მელიქიშვილს 2-თვიანი პატიმრობა შეეფარდა

ყვარელში „საქართველოს ბანკის" ფილიალზე თავდასხმის საქმეზე დაკავებულ შალვა მელიქიშვილს ბრალი ოფიციალურად წარედგინა.

გამოძიების ინფორმაციით, შეიარაღებული შალვა მელიქიშვილი ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის" ფილიალში შეიჭრა და დიდი ოდენობის თანხის დაუფლების მიზნით 13 პირი მძევლად აიყვანა. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებსა და თავდამსხმელს შორის განხორციელებული მოლაპარაკებების შედეგად, მელიქიშვილმა მძევლად აყვანილი ყველა ადამიანი ეტაპობრივად გაათავისუფლა, რის შემდეგაც სამართალდამცველებმა ის ბრალდებულის სახით ადგილზე დააკავეს. მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა. მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ადვოკატ ლეილა გარსევანიშვილის განცხადებით, შალვა მელიქიშვილი დანაშაულის ჩადენის მოტივად ბანკის ვალს ასახელებს. ამის შესახებ გარსევანიშვილმა ჟურნალისტებს შალვა მელიქიშვილისთვის ბრალის წარდგენის პროცედურის დასრულების შემდეგ განუცხადა.

როგორც ადვოკატი ამბობს, მელიქიშვილს 52 ათას ლარამდე „თიბისი ბანკის" ვალი აქვს.

– მოტივი ფინანსური მდგომარეობაა. მას 52 ათას ლარამდე ვალი ჰქონდა „თიბისი ბანკის", რის გამოც ბინას გაუყიდდნენ. მან გადაწყვიტა, რომ ბანკში შესულიყო.

ამასთან, ვერაფერს გეტყვით ბრალის გადაკვალიფიცირებაზე. სამი მუხლით აქვს ბრალდება წარდგენილი და როდესაც მტკიცებულებები სრულად შეიკრიბება, მერე შესაძლებელია, მოხდეს გადაკვალიფიცირება ან სასამართლო განხილვის დროს.

როგორც ბრალდებული ამბობს, თავიდან ნახევარი მილიონი დოლარი მოვითხოვე და ჩავთვალე, რომ ნახევარი მილიონი ლარიც უნდა მომეთხოვა, იმიტომ, რომ ლარიც საჭიროაო", – განაცხადა ბრალდებულის ადვოკატმა.

12 სექტემბერს შალვა მელიქიშვილს თელავის სასამართლომ 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

დაკავებულის ინტერესების დამცველი 30-ათასიან გირაოს ითხოვდა.

წინასასამართლო სხდომა 2 ნოემბერს, 14:00 საათზე ჩაინიშნა.

# ბათუმში, სასტუმრო სანაპიროს ეზოში, 49 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

9 სექტემბერს ბათუმში, კოვიდ სასტუმრო სანაპიროს ეზოში, 49 წლის კოვიდინფიცირებული კაცი გარდაიცვალა.

აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, პაციენტს კოვიდ სასტუმროში შეყვანისთანავე განუვითარდა სავარაუდოდ ეპილეფსიური გულყრა გონების დაკარგვის ეპიზოდით. მას ადგილზე გაეწია შესაბამისი სამედიცინო დახმარება, თუმცა, გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, დაფიქსირდა გარდაცვალება.

# ქართველმა ქალმა ერაყელი შეიხის სახლიდან 2 მილიონ 600.000 დოლარი და 4 კილო ოქრო მოიპარა



ქართველმა ქალმა, რომელიც ერაყში შეიხის სახლში დამხმარედ მუშაობდა, 2 მილიონ 600 ათასი დოლარი და 4 კილო ოქრო მოიპარა.

პოლიციამ ფული და ოქრო ამოიღო, თუმცა ქალის დაკავება ვერ მოახერხა, რადგან მან ქვეყანა დატოვა. ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი მედია ავრცელებს.

ქალმა, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, ძარცვა 3 სექტემბერს 3 თანამზრახველთან ერთად განახორციელა.

სამდღიანი საგამოძიებო სამუშაოების შემდეგ პოლიციამ დაადგინა, რომ ქალმა თავი თურქეთს შეაფარა, თან კი 20.000 დოლარი წაიღო.

# იტალიის მოქალაქეს დიღომში მიწის ნაკვეთი წაართვეს

## 2 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლებისა და ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა სხვა პირების დახმარებით, იტალიის მოქალაქეზე რიცხული ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით გააყალბეს იტალიის მოქალაქის პასპორტი და მესაკუთრის მსგავსი ვიზუალის მქონე დაუდგენელი პირის დახმარებითა და ყალბი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების გზით, 2021 წლის აგვისტოში ერთ-ერთის სახელზე დაარეგისტრირეს ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე 900 მ2 მიწის ნაკვეთი.

ზემოაღნიშნულიდან რამდენიმე დღეში ბრალდებულების მიერ მოძიებულ იქნა მიწის ნაკვეთის ახალი შემძენი პირი, რომლის რეალიზაციის მცდელობისას მოხდა მათი დაკავება.

გამოძიების პროცესში დაყადაღდა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული მიწის ნაკვეთი, რომლის საბაზრო ღირებულება, წინასწარი მონაცემებით, 350.000 ლარს შეადგენს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა", ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებითა და 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

ტარდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

# ხობის პოლიციის უფროსის მძღოლი ბესო კვარაცხელია დააკავეს

ხობის პოლიციის უფროსის მძღოლი ბესო კვარაცხელია დააკავეს.

ფინანსურმა პოლიციამ და შემოსავლების სამსახურმა ხობის პოლიციის უფროსის მძღოლი კონტრაბანდის გადმოტანის ბრალდებით დააკავეს.

ბესო კვარაცხელიას საკუთარი მანქანით ოკუპირებული აფხაზეთიდან კონტრაბანდული სიგარეტი გადმოჰქონდა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და შსს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პირთა ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე სამი პირი, მათ შორის შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხობის რაიონული სამმართველოს სპეციალისტი დააკავეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ განკუთვნილი 3.100 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის საბაზრო ღირებულება, წინასწარი მონაცემებით, შეადგენს 13.640 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით", – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციაში.

# „ბავშვმა 10 სექტემბერს თავის მოკვლა ცადა"

## მ.ნ.-ს პროკურატურამ ბრალი წაუყენა

პროკურატურამ არასრულწლოვნის თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანისა და მუქარის ფაქტზე დაკავებულს ბრალდება წარუდგინა.

ინფორმაციას ამის შესახებ უწყების პრესსამსახური ავრცელებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ მ.ნ. 2021 წლის ივნისიდან 10 სექტემბრის ჩათვლით სისტემატურად ლახავდა არასრულწლოვნის პატივსა და ღირსებას. ასევე, მეგობრების, ოჯახის წევრებისა და უცხო ადამიანების თანდასწრებით ამცირებდა და ოჯახის წევრების დაკავებითა და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა.

მ.ნ.-ს მიერ განხორციელებული ქმედებების გამო არასრულწლოვანმა 10 სექტემბერს თვითმკვლელობა ცადა.

სამართალდამცველებმა მ.ნ. 10 სექტემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის პირველი ნაწილით (თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა) და 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით (მუქარა, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

# „ჩვენი მოთმინება ამოიწურა. აშშ-ში ვაქცინაცია სავალდებულო ხდება“

## რა გადაწყვიტა ჯო ბაიდენმა



აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებებს, რომელთა თანახმადაც, მილიონობით დასაქმებულისთვის, მათ შორის ფედერალური სამსახურის ყველა თანამშრომლისთვის ვაქცინაცია სავალდებულო ხდება.

პრეზიდენტმა მიმართა შრომის დეპარტამენტს, უზრუნველყოს, რომ კერძო კომპანიებმა, რომლებსაც 100-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავთ, ყველა მუშაკი აცრან ან კვირაში ერთხელ ჩაუტარონ კოვიდტესტი, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანიებს ათასობით აშშ დოლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრებათ.

– ვაქცინაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით ჩემი გეგმა, საერთო ჯამში, შეეხება 100 მილიონ ამერიკელს, დასაქმებულების ორ მესამედს. ვაპირებთ, დავიცვათ ვაქცინირებული დასაქმებულები არავაქცინირებული თანამშრომლებისგან. ვაპირებთ, შევამციროთ კოვიდ-19-ის გავრცელება სამუშაო ძალის იმ ნაწილის გაზრდით, რომელიც აცრილია, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

ამასთან, სავალდებულო ვაქცინაცია გავრცელდება ჯანდაცვის მუშაკებზე, რომლებიც დასაქმებული არიან იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებიც ფედერალური მთავრობის ჯანდაცვის პროგრამებით ფინანსდებიან.

პრეზიდენტმა ასევე მოუწოდა შტატების გუბერნატორებს, რომ მასწავლებლებისა და სკოლების სხვა თანამშრომლებისთვის ვაქცინაცია სავალდებულო გახდეს.

– ჩემი გზავნილი არავაქცინირებული ამერიკელებისთვის ასეთია: კიდევ რას ელოდებით? მეტი რა უნდა ნახოთ? ვაქცინაცია გავხადეთ უფასო, უსაფრთხო და მოსახერხებელი. მოთმინებას ვიჩენდით, მაგრამ ჩვენი მოთმინება მცირდება. ასე რომ, გთხოვთ, სწორად იმოქმედეთ, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

# პარიზის მერი ან იდალგო 2022 წელს საფრანგეთის პრეზიდენტობისთვის იბრძოლებს



პარიზის მერი, სოციალისტი ან იდალგო, 2022 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

– ამ რთულ პერიოდში იმისთვის, რომ ჩვენს ცხოვრებას იმედი მივცეთ, გადავწყვიტე, საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი ვიყარო. ჩვენ თავიდან უნდა გამოვიგონოთ ჩვენი ფრანგული მოდელი, რომელიც მრავალრიცხოვანმა კრიზისებმა დაასუსტა, – განაცხადა იდალგომ და დასძინა, რომ სურს, აღადგინოს ქვეყნისადმი პატივისცემა და მისი ერთობა.

იდალგოს სურს, ააშენოს უფრო სამართლიანი სახელმწიფო.

– ემანუელ მაკრონის ხუთწლიან პერიოდს, რომელიც დასასრულს უახლოვდება, ფრანგები უნდა გაეერთიანებინა, თუმცა მან ისინი დაყო ისე, როგორც არასდროს. მას სოციალური პრობლემები უნდა მოეგვარებინა, მაგრამ მან ისინი უფრო გააღრმავა. მას ჩვენი პლანეტა უნდა დაეცვა, მაგრამ მან ეკოლოგიას ზურგი აქცია, – განაცხადა ან იდალგომ.

ან იდალგო 2014 წელს პირველი ქალი გახდა, რომელმაც პარიზის მერის პოსტი დაიკავა.

2020 წლის ივნისში ან იდალგომ კიდევ ერთხელ გაიმარჯვა არჩევნებში და პარიზის მერის პოსტი მეორედ დაიკავა.

# ვინ არის თალიბანის მთავარი მტერი აჰმად მასუდი

## მას პანჯშირელ ლომის ბოკვერს უწოდებენ



ავღანეთის ეროვნული წინააღმდეგობის ფრონტის ლიდერი აჰმად შაჰ მასუდი „ალ-ქაიდამ“ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებამდე ორი დღით ადრე მოკლა. საველე მეთაური, რომელიც სიკვდილს ჯერ კიდევ საბჭოთა ჯარებთან ბრძოლების დროს ერთი ნაბიჯით ბევრჯერ ასცდა, ააფეთქა ორმა თვითმკვლელმა ტერორისტმა, რომლებიც მას ჟურნალისტებად გაეცნნენ.

მასუდის ვაჟი მაშინ 12 წლის იყო. მალე ის გაემგზავრა ირანში, სადაც საშუალო სკოლა დაამთავრა და იქიდან საცხოვრებლად დიდ ბრიტანეთში გადავიდა. მასუდ უმცროსი სწავლობდა სენდჰერსტის სამხედრო აკადემიაში და ლონდონის სამეფო კოლეჯში სამხედრო კვლევის მიმართულებით ბაკალავრის ხარისხი აქვს მინიჭებული, თუმცა ახალგაზრდა პოლიტიკოსს რეალური საბრძოლო გამოცდილება არ აქვს.

ინტერვიუში მასუდი აღნიშნავს, რომ მისი პრიორიტეტი სწორედ სამშვიდობო მოლაპარაკებებია და არა – შეიარაღებული შეტაკებები.

– სამწუხაროდ, თალიბანის ქმედებები უკვე აჩვენებს, რომ ისინი არ იზიარებენ ინკლუზიურობისა და ტოლერანტობის პრინციპებს, ადამიანებისა და ქალთა უფლებებს, დემოკრატიულ ღირებულებებს. ეს ყველაფერი კი არის ის, რაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, რათა მთავრობა აღიარონ და ეს ჩვენთვისაც არის პრობლემა, რომელსაც ვერ შევეგუებით. ჩვენ არ გვინდა, იზოლაციაში ვიცხოვროთ. ამიტომაც არ შეგვიძლია, მივიღოთ მთავრობა, რომელსაც არ შეუძლია, დაამყაროს ნორმალური ურთიერთობები როგორც რეგიონის ფარგლებში, ასევე – დანარჩენ მსოფლიოსთან, – განაცხადა მასუდ უმცროსმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

მასუდი და მისი მხარდამჭერები პანჯშირში აბსოლუტური მხარდაჭერით სარგებლობენ, მაგრამ ავღანეთის სხვა რაიონებში ბევრი არ არის მზად, რომ ომი გაგრძელდეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მედდამ დედის მკურნალობის ხარჯები საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათების გაყიდვით დაფარა

34 წლის მედდა ნიკოლ დესმონდმა ამერიკის კალიფორნიის შტატიდან სპეციალურ პლატფორმაზე განათავსა საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათები და მისი დახმარებით მოახერხა კიბოთი დაავადებული დედის მკურნალობის ხარჯების გასტუმრება.




რამდენიმე წლის წინ ორი შვილის დედა დესმონდი სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი იყო და, ამავე დროს, საავადმყოფოში ადმინისტრატორად მუშაობით ირჩენდა თავს. ის თვეში 2,5 ათას დოლარს იღებდა და თავი ხელფასიდან ხელფასამდე გაჰქონდა. მან გადაწყვიტა, დამატებითი შემოსავლის წყარო მოეძებნა და ამისთვის ონლაინპლატფორმაზე დარეგისტრირდა, რის შემდეგაც საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათების გაყიდვით თვეში 100 ათას დოლარს იღებდა.

მალევე მას შემდეგ, რაც დესმონდმა საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათების გაყიდვა დაიწყო, დედამისს მეოთხე სტადიის მსხვილი ნაწლავის კიბო დაუდგინდა, რომელიც უკვე გავრცელებული იყო ღვიძლსა და ფილტვებზე. ექიმების პროგნოზით, ქალს მაქსიმუმ ექვსი თვის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფობის პროგრესირება გაგრძელდებოდა.

დესმონდმა დედის მკურნალობის ხარჯები დაფარა და მედდის დიპლომი მიიღო. ახლა ის დღისით დედას უვლის და პარალელურად საკუთარი ფოტოსურათების გაყიდვით შემოსავალს იღებს.

# ცოლ-ქმარმა მხედველობის კორექციის შემდეგ ერთმანეთი ველარ იცნო

70 წლის ბრიტანელმა პენსიონერებმა მხედველობის კორექციის ოპერაცია გაიკეთეს და ერთმანეთი ველარ იცნეს.



ტერი და ბრენდა სმიტებმა ერთად 50 წელზე მეტი იცხოვრეს. მიმდინარე წლის გაზაფხულზე გეგმური სამედიცინო გამოკვლევის დროს ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ ცოლ-ქმარს სწრაფად უვითარდებოდა კატარაქტა და თვალებზე ოპერაციის გაკეთება ურჩიეს.

პროცედურა პირველმა გაიარა ბრენდამ, რომელიც 30 წელი სათვალეს ატარებდა. ქალის თქმით, ის გაოგნდა, როდესაც მეუღლეს უსათვალოდ შეხედა.

– ვერ ვიჯერებდი, რასაც ვხედავდი. ტერის ვუთხარი: „არასწორად იპარსავ წვერს“. გარდა ამისა, მე თავად შევუსწორე წარბები და თმა, – განაცხადა ქალმა.

ტერიმ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გაიკეთა ოპერაცია და ისიც გაოცებული დარჩა იმით, რომ ბრენდა ისე არ გამოიყურებოდა, როგორც ახსოვდა.

– თმა უფრო ღია ფერის აღმოაჩნდა, ვიდრე ადრე მეჩვენებოდა, – აღნიშნა გაკვირვებულმა ტერიმ.

პენსიონერი ცოლ-ქმრის თქმით, მხედველობის კორექციამ მათი ცხოვრება ძალიან შეცვალა. ბრანდამ პირველად შენიშნა, თუ როგორ ბრჭყვიალებდა მის ბეჭედში ჩასმული ძვირფასი ქვები, ხოლო ტერიმ აღმოაჩინა, რომ მართლაც ძალიან ცუდად იპარსავდა წვერს. მიუხედავად მოულოდნელი ცვლილებებისა, ცოლ-ქმარი გახარებულია, რომ ახლა უკვე სამყაროს ისეთს ხედავენ, როგორიც სინამდვილეშია.

# ძაღლმა ლეკვი შხამიანი გველისგან დაიცვა



ავსტრალიის კვინსლენდის ქალაქ ბრისბენში ხუთი წლის ძაღლმა ლეკვი გადაარჩინა შხამიანი გველისგან, რომელიც მისი პატრონის სახლის უკანა ეზოში გამოჩნდა.

ძაღლის პატრონმა, ექიმმა, სახელად მედლინმა განაცხადა, რომ მისი ხუთი წლის სტაფორდშირის ტერიერი სახელად მილი და ხუთი თვის ლეკვი სახელად ტონკა ყავისფერ გველს გადაეყარნენ, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე შხამიან გველად ითვლება. ეს მისი სახლის უკანა ეზოში მოხდა. იმ მომენტისთვის ქალი ღამის მორიგეობის შემდეგ ახალი გაღვიძებული იყო.

როდესაც მან ხმაური გაიგონა და გარეთ გამოვარდა, დაინახა, რომ მილის უკვე გველის შხამით მოწამვლის სიმპტომები ემჩნეოდა. სავარაუდოდ, ძაღლს გველმა ხუთი წუთით ადრე უკბინა. მას კისერსა და თათებზე მრავალი ნაკბენი ეტყობოდა.

– ის თავის უმცროს ძმას ტონკას იცავდა, რომელიც საბედნიეროდ ამ ინციდენტის შედეგად არ დაშავებულა, – განმარტა მედლინმა.

ქალმა მილი ვეტერინართან წაიყვანა. ძაღლს შხამის საწინააღმდეგო ნემსი გაუკეთეს და წვეთოვანი დაუყენეს. შინაურ ცხოველს ვეტერინარულ საავადმყოფოში რამდენიმე დღით დარჩენა მოუწევს ბოლომდე გამოსაჯანმრთელებლად.

# ქალმა შეცდომით ძვირფასეულობა ნაგავში გადაყარა



მალაიზიის მკვიდრმა ქალმა შეცდომით ნაგავში გადაყარა 70 ათასი მალაიზიური რინგიტის ღირებულების სამკაულები და შემდეგ მისი დაბრუნება შეძლო. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ფეისბუქში იდა მელისამ გამოაქვეყნა.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ ეძებს ქალი რამდენიმე მენაგვესთან ერთად გრძელი ჭოკების დახმარებით სამკაულებს ნაგვის გროვებში. ბოლოს და ბოლოს, მალაიზიელებმა იპოვეს მწვანე ზარდახშა. სამკაულების პატრონი ღიმება და ოქროს სამაჯურების კოლექციას აჩვენებს, რომლებიც ზარდახშაში ინახებოდა.

– დიდი მადლობელი ვარ იმისთვის, რომ მათი პოვნა მოხერხდა, – აღნიშნა ქალმა.

# ხომალდს გამოკიდებულმა მკვლელმა ვეშაპებმა დელფინი დაგლიჯეს



მკვლელი ვეშაპების (კასატკები, ცელნამგალა ვეშაპები) გუნდი მექსიკის ქვემო კალიფორნიის შტატის ქალაქ ლასალინას მახლობლად ტურისტების გემს გამოეკიდა, შემდეგ კი დელფინი დაგლიჯა.

ტურისტების ჯგუფის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ მისდევს თამაშ-თამაშით ოთხი კასატკა სანაპიროს გასწვრივ მცურავ ხომალდს.

ტურისტები, რომლებიც კასატკებს ინტერესით ადევნებდნენ თვალს, მოგვიანებით მიხვდნენ, რომ სინამდვილეში ისინი ჩვეულებრივ დელფინზე ნადირობდნენ. ისინი ამ დროს წყლიდან ხტებოდნენ. კასატკები დელფინით დაახლოებით 90 წუთი ერთობოდნენ, შემდეგ კი მოკლეს და ნადავლი გაიყვეს.

გემის კაპიტანმა დომენიკ ბიაგინიმ განაცხადა, რომ მათი კომპანია, რომელიც ტურების ორგანიზებითაა დაკავებული, რომლის დროსაც ტურისტებს ვეშაპებისთვის თვალის დევნება შეუძლიათ, კასატკებს არ დასდევს და კანონს იცავს.

# პენსიონერს მშვიდმა ხმამ, რომელიც ჩაესმა, სიმდიდრე მოუტანა




ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ საისკვილის მკვიდრმა მამაკაცმა ლატარიაში ჯეკპოტი მას შემდეგ მოხსნა, როდესაც მშვიდმა ხმამ, რომელიც გონებაში ჩაესმა, ბილეთის ყიდვა ურჩია.

78 წლის ნოლან სტილის თქმით, ის მაღაზიიდან გამოსვლას აპირებდა, როდესაც მშვიდმა ხმამ, რომელიც გონებაში ჩაესმა, ურჩია, დარჩენილიყო და მომენტალური ლატარიის ბილეთი შეეძინა.

– არ ვიცი, საიდან გაჩნდა, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ მას დავუჯერე. ვიცოდი, რომ რაღაც კარგი მოხდებოდა, – ხაზგასმით აღნიშნა პენსიონერმა. სტილმა ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა და აღმოაჩინა, რომ 100 ათასი დოლარით გამდიდრდა. ის ქალაქ ბალტიმორში ლატარიის შტაბ-ბინაში მივიდა და მოგებული პრიზი მიიღო.

პენსიონერის თქმით, ის მოგებული თანხის ნაწილით სახლს შეალამაზებს, ხოლო დანარჩენ თანხას მეუღლეს ჩააბარებს, რომელზეც 43 წელია, დაქორწინებულია.

# უძველესი ფაიფურის თასი სოლიდურ თანხად გაიყიდა



უძველესი ფაიფურის თასი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ინგლისის ლინკოლნშირის საგრაფოში მცხოვრები ოჯახის სახლში ინახებოდა, ასიათასობით ფუნტი სტერლინგის ღირებულების ჩინური კერამიკის უიშვიათესი ნაკეთობა აღმოჩნდა.

თასის მფლობელები ისე გარდაიცვალნენ, რომ ვერც კი შეიტყვეს მისი ღირებულება. მათი გარდაცვალების შემდეგ მათმა მემკვიდრეებმა თასი აუქციონზე გაიტანეს გასაყიდად იმის იმედით, რომ მასში 500-დან 800 ფუნტამდე თანხას მიიღებდნენ. აუქციონზე ამ ლოტის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც მათთვის, ისე აუქციონერებისთვის.

აუქციონის სახლის თანამშრომლის ჯესიკა უოლის თქმით, როდესაც თასის ფასმა 10 ათას ფუნტს მიაღწია, მან ეს კარგ შედეგად ჩათვალა და იფიქრა, რომ ამ ლოტში მეტს არც არავინ გადაიხდიდა.

– მაგრამ ფასი იზრდებოდა და მაშინ უკვე ავნერვიულდი, – იხსენებს უოლი. საბოლოო ჯამში, ფაიფურის თასი 320 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

როგორც გაირკვა, შემფასებლებმა ვერ გაიგეს, რომ თასი ჩინური კერამიკის უნიკალურ სახესხვაობას განეკუთვნებოდა. ამგვარ ფაიფურს მცირე დროის განმავლობაში იმპერატორის სასახლის შეკვეთით XII საუკუნის დასაწყისში ამზადებდნენ და მათგან დღემდე ასზე ნაკლები ნივთია შემორჩენილი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალგაზრდა ძიუდოისტთა ხვავრიელი მონაგარი

## 1 ოქრო, 2 ვერცხლი და 2 ბრინჯაო

საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლუქსემბურგში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ასპარეზობა 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლით დაასრულა.

ნიკა ხარაზიშვილმა (90კგ) საქართველოს ერთადერთი ოქროს მედალი მოუტანა. ნიკამ ფინალში ნიდერლანდელი ტიგო რენესი დაამარცხა. ჩვენებურმა მეტოქეს ჯერ ვაზარი აუღო, შემდეგ კი იპონზე დააგდო და ევროპის ჩემპიონობა იზეიმა.

ამ წონით კატეგორიაში ბადეები ისე დალაგდა, რომ ხარაზიშვილი და თორნიკე ფოლადაშვილი ერთ ბადეში მოხვდნენ. ქართველები ერთმანეთს მეოთხედფინალში შეხვდნენ და ხარაზიშვილმა მეტოქეს იპონით აჯობა.

თავად ფოლადიშვილი კი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა – მესამე ადგილისთვის ბრძოლაში რუს იშხან ედისულთანოვს ვაზარით აჯობა და საქართველოს პირველი ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

ოქროს მედლამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა საბა ინანეიშვილს (+100), რომელიც ფინალში უნგრელ რიჩარდ სიპოჩს შეხვდა და ვაზარით დამარცხდა.

ვერცხლი ირგუნა გიორგი სარდალაშვილმაც (60კგ), რომლის მეტოქეც ფინალში ფრანგი რომან ვალადი პიკარი იყო.

ილია სულამანიძისგან ყველა ოქროს ველოდით, მაგრამ ჩვენებურმა 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მხოლოდ ბრინჯაოს მედალი ირგუნა. სულამანიძემ მესამე ადგილისთვის შეხვედრაში სლოვაკ ვიქტორ ადამს ბრძოლის დასრულებამდე ნახევარი წუთით ადრე იპონით სძლია. ამავე წონით კატეგორიაში მიხეილ ჯაფარიძემ ფინალი დათმო, რომელმაც პოლონელ ძიუდოისტ მიხალ იედრჟეივსკისთან წააგო.



იგივე ირაკლი დემეტრაშვილი ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში პოლონელ ვოციეხ კორდიალიკთან დამარცხდა. ირაკლი შეხვედრას ვაზარით იგებდა, მაგრამ მეტოქემ შებოჭვაზე დაიჭირა და ბრძოლა იპონით დაასრულა.

# შერმადინის გარჯა რეალის დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა

ესპანეთში საკალათბურთო სეზონი გაიხსნა და საქმეში პირველი გიორგი შერმადინი ჩაერთო. ესპანეთის სუპერთასის მინიტურნირი ქალაქ კრისტობალ დე ლა ლაგუნაში იმართება, სადაც გასული სეზონის შედეგებით 4 საუკეთესო გუნდი შეიკრიბა ტიტულის გასათამაშებლად.

ნახევარფინალურ მატჩში შერმადინის ტენერიფეს მეტოქე მადრიდის რეალი გახლდათ, რომელსაც ქართველი ცენტრის ლიდერობით კუნძულელები მთელი მატჩის განმავლობაში ამარცხებდნენ, მაგრამ, საბოლოოდ, დრამატულ ფინალში – 70:72 დამარცხდნენ.



გიორგი შერმადინმა 25 წუთში 21 ქულა ჩააგდო (8-დან 7 ორქულიანი, 9-დან 7 საჯარიმო). მის ანგარიშზეა 3 მოხსნა და 1 დაფარება. 21 მარგი ქმედების კოეფიციენტით ის მატჩში საუკეთესო იყო.

რეალის რიგებში 15 ქულა და 8 მოხსნა იაბუსელემ მიითვალა, 13 ქულა კოსიეს ანგარიშზეა. ტენერიფეს რიგებში მარსელინო უერტასმა 13 ქულა, 5 მოხსნა და 6 პასი მიითვალა.

ესპანეთის სუპერთასის ფინალში კი „ელ კლასიკო" იქნება – მეორე ნახევარფინალურ წყვილში ბარსელონამ 87:68 მოუგო ვალენსიას.

# ემა რადუკანუს გრძელი გზა ჩემპიონობამდე

18 წლის ბრიტანელმა ემა რადუკანუმ სასწაული მოახდინა და ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებული ისე გახდა, რომ ეს ყველაფერი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო. მსგავსი რამ ჩოგბურთის ისტორიაში აქამდე არავის გაუკეთებია.



გარდა ამისა, რადუკანუ რუსი მარია შარაპოვას შემდეგ პირველია, ვინც სლემი თინეიჯერობის ასაკში მოიგო. ბოლო 44 წელიწადში კი დიდი სლემის მომგები პირველი ბრიტანელი ქალია.

რეიტინგში 150-ე ადგილზე მყოფმა ჩოგბურთელმა გადამწყვეტ შეხვედრაში კანადელი ლეილა ფერნანდესი 2 სეტში დაამარცხა: 6:4, 6:3.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებულმა საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველ მარიამ ბოლქვაძეს (6:3, 7:5) აჯობა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ნარკომოვაჭრეს ტელეფონზე ჩამოეძინა და პოლიციის ხელში აღმოჩნდა

გერმანიაში ნარკოტიკებით მოვაჭრეს ტელეფონზე ჩამოეძინა, შემთხვევით სამაშველო სამსახური გამოიძახა და პოლიციას ჩაჰბარდა.

დაახლოებით ღამის პირველ საათზე სამაშველო სამსახურში ზარი შევიდა. მორიგე ოპერატორს მხოლოდ ხვრენა და კვნესა ესმოდა. მათ ზარით გამოთვალეს, რომ ის რეინ-ვესტფალიის მხარის ქალაქ ვალდბრელის 23 წლის მკვიდრის ტელეფონიდან იყო შემოსული.

პოლიციას კარი ჩაძინებული მამაკაცის 21 წლის მეზობელმა გაუღო და სახლში შეუშვა. მათი ყურადღება მაშინვე კანაფის მკვეთრმა სუნმა მიიპყრო. მან ახალგაზრდა მამაკაცი გააღვიძეს. ის თავდაპირველად ვერ მიხვდა, თუ რატომ იდგნენ მის წინ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები. ის დაჟინებით ამტკიცებდა, რომ დახმარება არ უთხოვია, თუმცა ზარების ისტორიის შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას ტელეფონზე ჩაეძინა და ამ დროს შემთხვევით სამაშველო სამსახურის ნომერი აკრიფა.

ბინის შემოწმებისა და ჩხრეკის შედეგად სამართალდამცავებმა სხვადასხვა სახის ნარკოტიკი და მსხვილი თანხა ამოიღეს.

– ამოღებული თანხა სოლიდურია. ორივე მამაკაცი ნარკოტიკებით ვაჭრობაშია ეჭვმიტანილი, – განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა.

# ზვიგენმა სერფერი დამსვენებლების თვალწინ იმსხვერპლა

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ემერალდ-ბიჩის პლაჟზე სერფერი დამსვენებლების თვალწინ ზვიგენის თავდასხმის შედეგად დაიღუპა.

მტაცებელმა თევზმა დაკბინა მამაკაცი, რომელიც ოკეანეში სერფინგით იყო დაკავებული. სხვა სერფერებმა და დამსვენებლებმა სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. ექიმების მოლოდინში ისინი თავადვე შეეცადნენ მამაკაცის გადარჩენას ხელოვნური სუნთქვისა და გულის მასაჟის გამოყენებით, მაგრამ მათმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო, სერფერი დაიღუპა.

თვითმხილველ აარონ არმსტრონგის თქმით, აღნიშნული პლაჟი დიდი პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივებს შორის. იმ დღეს, როდესაც ზვიგენმა მამაკაცი იმსხვერპლა, პლაჟი სავსე იყო ხალხით. ზოგიერთი მათგანი ოკეანეში ბანაობდა. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ზვიგენის ადამიანზე თავდასხმის პირველი შემთხვევაა ამ პლაჟზე.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა წლების განმავლობაში ამზადებს ბუნებრივ პროდუქტებზე წამლებს, მალამოებს, ლოსიონის, ორგანიზმის გასაწმენდ ნაყენებს.**

ყველა წამალი არის ბუნებრივი და მორჩენის 100%-იანი გარანტიით.

ქვემოთ ჩამოთვლილი დაავადებების მკურნალობა ხდება უშუალოდ დაავადებისთვის დამზადებული სხვადასხვა მალამოთი და ლოსიონით.

**მოგირჩენთ:**

**თმის ცვენა** – მის მოსარჩენად საჭიროა ლოსიონისა და მალამოს გამოყენება;
**ტილების მოსაშორებლად** – ლოსიონი;
**კოლოსა და მწერების ნაკბენისთვის** – მალამო, რომელსაც აქვს სწრაფი ეფექტი;
**ნაწოლებისთვის** – მალამო, ლოსიონი;
**ჰაიმორიტისთვის** – ლოსიონი, მალამო;
**დამწვრობისთვის** – ლოსიონი, მალამო;
**ბუასილისთვის** – სანთლები, მალამო;
**მარილებისთვის** – ორგანიზმის გამწმენდი დასალევი სითხე;
**სოკოვანი დაავადებისთვის** – აბაზანები, მალამო;

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# შედეგები

## 11 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| კრ.პალასი-ტოტენჰემი | 3:0 |
| არსენალი-ნორვიჩი | 1:0 |
| ბრენტფორდი-ბრაიტონი | 0:1 |
| ლესტერი-სიტი | 0:1 |
| მანჩესტერი-ნიუკასლი | 4:1 |
| საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 0:0 |
| უოტფორდი-ვულვზი | 0:2 |
| ჩელსი-ასტან ვილა | 3:0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბლექბერნი-ლუთონი | 2:2 |
| ბლექპული-ფულემი | 1:0 |
| ბორნმუთი-ბარნსლი | 3:0 |
| ბრისტოლი-პრესტონი | 0:0 |
| ვესტ ბრომვიჩი-მილუოლი | 1:1 |
| ქოვენთრი-მიდლსბრო | 2:0 |
| რედინგი-ქპრ | 3:3 |
| სტოკი-ჰადერსფილდი | 2:1 |
| სუონსი-ჰალი | 0:0 |
| შეფილდი-პიტერბრო | 6:2 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი-დორტმუნდი | 3:4 |
| ფიურტი-ვოლფსბურგი | 0:2 |
| უნიონი-აუგსბურგი | 0:0 |
| ფრაიბურგი-კიოლნი | 1:1 |
| ჰოფენჰაიმი-მაინცი | 0:2 |
| ლაიფციგი-ბაიერნი | 1:4 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-ზ.პაული | 1:0 |
| ინგოლშტადი-ვერდერი | 0:3 |
| კარლსრუე-კილი | 2:2 |
| ჰამბურგი-ზანდჰაუზენი | 2:1 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლევანტე-რაიო ვალეკანო | 1:1 |
| ბილბაო-მალიორკა | 2:0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ამორებიეტა-ბურგოსი | 2:2 |
| სოსიედადი-ეიბარი | 2:3 |
| ლას პალმასი-იბიცა | 1:1 |
| მირანდესი-ალკორკონი | 1:3 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ემპოლი-ვენეცია | 1:2 |
| ნაპოლი-იუვენტუსი | 2:1 |
| ატალანტა-ფიორენტინა | 1:2 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ალესანდრია-ბრეშა | 1:3 |
| კომო-ასკოლი | 0:1 |
| სპალი-მოდენა | 1:1 |
| ფროზინონე-პერუჯა | 0:0 |
| ტერნანა-პიზა | 1:4 |
| კროტონე-რეჯინა | 1:1 |

**საფრანგეთი. ლიგა 1**

| | |
|---|---|
| პსჟ-კლერმონი | 4:0 |
| მონაკო-მარსელი | 0:2 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

| | |
|---|---|
| პარიზი-გენგამი | 0:1 |
| ამიენი-როდეზი | 0:1 |
| აიაჩო-სოშო | 1:0 |
| ვალანსიენი-კევიი | 1:2 |
| გრემობლი-ნიმი | 2:1 |

| | |
|---|---|
| დიჟონი-ბასტია | 2:1 |
| დიუნკერკი-ნანსი | 0:0 |
| კაენი-პო | 1:2 |
| ოსერი-ნიორი | 4:0 |

**ნიდერლანდები. ეჰრედივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტვენტე-უტრეხტი | 1:0 |
| ზვოლე-აიაქსი | 0:2 |
| კამბური-იგზლი | 5:2 |
| ალკმაარი-პსვ | 0:3 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

| | |
|---|---|
| ფერეირა-ბრაგა | 0:0 |
| სანტა კლარა-ბენფიკა | 0:5 |
| სპორტინგი-პორტუ | 1:1 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-კრილია | 2:0 |
| ზენიტი-ახმატი | 3:1 |
| სპარტაკი-ხიმკი | 3:1(0:1) |

**ბელგია. ა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეუპენი-ანტვერპენი | 0:1 |
| ვარეგემი-სერკლი | 2:4 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ვოლფსბერგერი-ჰარტბერგი | 1:3 |
| ტიროლი-ზალცბურგი | 1:3 |
| რაპიდი-ადმირა | 1:2 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| სტ.ჯონსონი-რეინჯერსი | 1:2 |
| მოზერველი-აბერდინი | 2:0 |
| სელტიკი-როსი | 3:0 |
| სტ.მირენი-დ.იუნატედი | 0:0 |
| დანდი-ლივინგსტონი | 0:0 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ქონია-ალთაი | 3:1 |
| ქარამრუქი-ადანა | 4:0 |
| ბეშიქთაში-მალათია | 3:0 |
| ქაისერი-ქაშიმფაშა | 2:0 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| პანეთოლიკოსი-ასტერასი | 0:0 |
| პანათინაიკოსი-აპოლონი | 4:0 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ლუცერნი-გრასჰოპერსი | 1:1 |
| იანგ ბოიზი-ციურიხი | 4:0 |

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| ზლინი-ბოჰემიანსი 1905 | 1:3 |
| პარდუბიცე-ლიბერეცი | 2:2 |
| ტეპლიცე-ბანიკი | 1:2 |
| პლზენი-სპარტა | 3:2 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| ვარტა-ნეცეჩა | 0:0 |
| კრაკოვია-გურნიკი | 2:2 |
| იაგელონია-სტალი | 1:1 |
| სლასკი-ლეგია | 1:0 |

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰონვედი-ფერენცვაროში | 0:1 |
| პაკში-მტკ | 3:2 |
| მეზეკოვეშდი-ფეჰერვარი | 2:2 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| რუხი-ზორია | 1:1 |
| მეტალისტი-დინამო | 0:2 |
| შახტარი-დნიპრო | 2:0 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| მალმიო-ნორჩიოპინგი | 1:1 |
| სირიუსი-ესტერსტუნდი | 1:0 |

**ნორვეგია. ელიტსერია**

| | |
|---|---|
| ლილესტრიომი-ბრანი | 2:3 |
| სტაბეკი-ვიკინგი | 1:3 |

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დუქნის დახლიდარი; 2. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 3. ქალაქი, ნავსადგური უკრაინაში; 4. შტატი აშშ-ში; 5. ტრაგედია „ჰამლეტის" პერსონაჟი; 10. ფრანგი პარტიზანის სახელწოდება მეორე მსოფლიო ომის დროს; 12. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 15. პირი ნავსადგურში, რომელიც განაგებს გემების ჩატვირთვა-გადმოტვირთვას; 16. ყველაფრისადმი გულგრილობა, უინტერესობა; 17. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 20. გერმანული ავტომობილი.

**თარაზულად:** 6. მონასტერი რაჭაში; 7. სიმდიდრის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 9. ქვევრის ღვინოში არსებული მრთიმლავი ნივთიერება; 13. ჩრდილოეთის ცივი ქარი ზღვის სანაპიროზე; 14. რომის იმპერატორთა ტიტული; 18. ორგანიზმის შეუვალობა შხამის, ვირუსის მიმართ; 19. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 21. დამარილებული ღორის ქონი; 22. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 23. ადამიანი, რომელიც ფერებს ვერ არჩევს; 24. პირველი ქართული მხატვრული ფილმი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფოკა; 2. ხაურუ; 3. კლონი; 5. ასკოტი; 6. სქოლიოზი; 9. აბასთუმანი; 10. ვაშლოვანი; 11. პოლიფონია; 14. გზა; 16. აილამა; 18. კალა.

**თარაზულად:** 1. ფრანკი; 4. ტრავერსი; 7. ლუგანო; 8. ნექტონი; 12. ვანგა; 13. ეგეოსი; 15. ალმასი; 17. ომი; 19. პანჩატანტრა; 20. სიმდი; 21. კახასა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მაშვრალი; 2. მარწყვი; 3. ასაჰი; 4. ჰანტელი; 5. სუფრული; 10. ტაბლოიდი; 11. მინგეჩაური; 12. ახალუხი; 15. ტრაიდენტი; 16. ზღარბი; 17. სახიობა; 20. ბიგლი.

**თარაზულად:** 6. მანსანარესი; 7. თაფლუჭი; 8. კვირიკე; 9. საცივი; 13. რიგა; 14. ჩიბუხი; 18. ელევატორი; 19. კაშია; 21. სიამი; 22. სინუსი; 23. ხაბიზგინა; 24. ბრინდიზი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


13 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1140

ევრო — 3.6842

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3182

100 რუსული რუბლი — 4.2770

## ამინდის პროგნოზი 13 სექტემბრისათვის




## სოლსკიაერი: „კრიშტიანო რონალდუ ბომბარდირობისთვის არის გაჩენილი“




მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლერ გუნარ სოლსკიაერმა კრიშტიანო რონალდუს დებიუტი შეაფასა და თქვა, რომ რონალდუ ბომბარდირად არის დაბადებული და ის კიდევ ბევრჯერ შეძლებს იუნაიტედის გულშემატკივრის გახარებას:

– რონალდუს გოლები არ გამკვირვებია, რადგან ის ყოველთვის გამოირჩეოდა ბომბარდირული ტალანტით და მისი გადმოსვლა ჩვენი გუნდისთვის დიდი პლუსია. დარწმუნებული ვარ, რომ წლევანდელ სეზონში ის კიდევ არაერთხელ გამოავლენს თავის შესაძლებლობებს.

რონალდუმ მანჩესტერში პირველივე შეხვედრაში ნიუკასლის წინააღმდეგ 2 გოლი გაიტანა, მატჩი კი მასპინძლებმა 4:1 მოიგეს.

## მიულერი: „ბარსელონა მესის გარეშე განსხვავებული გუნდია“



ტომას მიულერმა ბარსელონასთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისთვის უცნაური იქნება მესის გარეშე დარჩენილი ბარსელონის ხილვა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მიულერი მაინც რთულ დაპირისპირებას ელის:

– როდესაც მესი მოედანზეა, მაშინ ის ყველას ყურადღებას იპყრობს და ამჯერად ყველაფერი შედარებით სხვაგვარად იქნება, თუმცა ბარსელონის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის განსაკუთრებულია.

## მარტინ ბრეითუეიტს 3 თვე გაუცდება




მარტინ ბრეითუეიტმა მუხლის საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას ამ მიზეზით მინიმუმ 3 თვე გაუცდება, თუმცა, შესაძლოა, უფრო ადრეც დაბრუნდეს მოედანზე. ყველაფერი სარეაბილიტაციო კურსზე იქნება დამოკიდებული.

ბარსელონას შეტევაში პრობლემები აქვს, რადგან ასევე ტრავმირებული არიან სერხიო აგუერო და უსმან დემბელე.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

სამხედრო კომისარიატში ახალგაზრდა აცხადებს:

– მინდა საზღვაო ფლოტში ვიმსახურო.

– ცურვა იცი?

– რა, ხომალდები აღარ დაგრჩათ?

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, შეიძლება, დასავლეთმა სანქციები დაგვიწესოსო და არ გეშინია?

– მე უფრო ჩვენი საპასუხო ნაბიჯების მეშინია.

•••

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– როდესაც გივიმ ისევ დაიწყო ხელების ფათური, პირდაპირ ვუთხარი, რომ მისი დანახვაც კი არ მსურდა.

– რაო მერე?

– ადგა და სინათლე ჩააქრო.

•••

მამაკაცი მიდის ტბის პირას და ხედავს, ვიღაც უცნობი მუხლებზე დგას, ტბიდან წყალს პეშვით იღებს და სვამს. კაცმა უცნობს დაუძახა:

– რატომ სვამ მაგ ბინძურ წყალს? დასახლების მთელი ნაგავი, ნარჩენები სულ მანდ ჩაედინება!

– ჩტო გავარიშ, ნე პონიალ?

– რა და ორივე ხელით ამოიღე წყალი და დალიე, ორივე ხელით!

•••

სპეცრაზმელმა ოპერაციის შემდეგ თვალი გაახილა და იგრძნო, რომ კვერცხები აღარ აქვს და ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ხომ გითხარი, რომ თიაქარი მქონდა!

– მასე მეც გეუბნებოდი, რომ უბრალოდ სახლში მივდიოდი!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ფრიდონ სულაბერიძე უმცროსი დაქორწინდა



ანსამბლ „რუსთავის“ მოცეკვავე ფრიდონ სულაბერიძე უმცროსი დაქორწინდა.

ანსამბლის სოლისტის მეუღლე თათია გულდედავაა.

სასიხარულო ინფორმაცია ანსამბლის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა და ახლადშეუღლებულებს ყოველივე საუკეთესო უსურვა.

## გიორგი სუხიტაშვილი „მთავარი არხის“ თანამშრომელი გახდა



მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი ტელეკომპანია „მთავარი არხის“ თანამშრომელი გახდა. ის დილის გადაცემაში ერთ-ერთი რუბრიკის წამყვანია.

– მე მინდა, ვისაუბრო მუსიკაზე და მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებმაც დღევანდელ დღემდე მოიტანეს ეს სფერო – მუსიკა. არა აქვს მნიშვნელობა, ვისი ამომრჩეველია ის. ასევე მადლობას ვუხდი „მთავარ არხს“ გამოცხადებული ნდობისთვის.

წელიწადზე მეტია, რაც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამათავისუფლა სრულიად უსამართლოდ და მაქვს სასამართლო დავა. მთელი ეს პერიოდი ვზივარ უსაქმოდ და მაგ დროს ეგ ჯდომა ითვლებოდა აპოლიტიკურად.

ვინც თვლით, რომ მე ნაცი ვარ იმიტომ, რომ „მთავარ არხზე“ ვმუშაობ, დამშვიდდით. ვინც თვლიდით, რომ ქოცი ვიყავი, საზოგადოებრივზე რომ ვიყავი 5 წელი, თქვენც დამშვიდდით.

2007 წელს „რუსთავი 2“-შიც ვმუშაობდი, ხოლო 2010 წელს – საზოგადოებრივზე.

თანამშრომლობით ვთანამშრომლობ ყველასთან, ვინც არ მბლოკავს ან არ განმიხილავს ამისტად და იმისტად. თუ ამის გამო თქვენი დამოკიდებულება შეიცვლება ჩემ მიმართ, უბრალოდ, სამწუხაროა. ნუ გამლანძღავთ იმის გამო, რომ ვმუშაობ ან იმის გამო, რომ მუსიკა მიყვარს.

არც ერთი ვარ, არც მეორე, ვარ გიორგი სუხიტაშვილი და ჩემს პოლიტიკურ არჩევანს გავაკეთებ საარჩევნო ყუთთან, – განაცხადა გიორგი სუხიტაშვილმა.

## სტეფანე „რუსთავი 2“-ზე გადაცემას წაიყვანს



მომღერალი სტეფანე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე გადაცემას წაიყვანს.

„ფოლქ შოუ“ – ასე ჰქვია გადაცემას, რომლის წამყვანებიც სტეფანესთან ერთად რუსკა მაყაშვილი, მარიამ სანოგო, ნატა ასათიანი და ნელიკო აგირბა იქნებიან.

ამერიკული გადაცემის ქართული ვერსიის წამყვანები მაყურებლისთვის საინტერესო და საჭირო თემებზე 14 სექტემბრიდან ისაუბრებენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მამაკაცმა პირველივე ნადირობაზე 360-კილოგრამიანი ალიგატორი დაიჭირა

ამერიკელი პირველად წავიდა ალიგატორზე სანადიროდ მისისიპის შტატის უორენის ოლქში და 360– კილოგრამიანი რეპტილია დაიჭირა.



28 წლის ტაი პაუელმა ქალაქ კოლუმბიიდან სპეციალური ნებართვა მიიღო და მდინარეზე სანადიროდ ოთხ გამოცდილ მონადირესთან ერთად წავიდა.

– ადრენალინის ისეთ მოზღვავებას ვგრძნობდი, რომ საერთოდ არ შემშინებია, – განაცხადა პაუელმა თავის პირველ ნადირობაზე საუბრის დროს.

რეპტილია მონადირეებს მდინარეზე აღმა-დაღმა დაათრევდა. ამ დაპირისპირების დასასრულისთვის პაუელი თავს ძალაგამოცლილად გრძნობდა.

– ხუთი მოზრდილი მამაკაცის ძალისხმევა გახდა საჭირო ნადავლის ნავში ასათრევად, – ხაზგასმით აღნიშნა ახალბედა მონადირემ.

ალიგატორის სიგრძემ – დაახლოებით ოთხი მეტრი, ხოლო წონამ 360 კილოგრამი შეადგინა. პაუელს ისე მოეწონა ნადირობა, რომ ალიგატორებზე ნადირობის ნებართვის მიღებას მომავალ წელსაც აპირებს.

## ამერიკის ზოოპარკში გორილები კორონავირუსით დაავადდნენ

აშშ-ის ქალაქ ატლანტის ზოოპარკში ცამეტ გორილას კორონავირუსის ახალი ინფექცია აღმოუჩინეს.



ცხოველებს გამოუვლინდათ ისეთი სიმპტომები, როგორებიცაა სურდო, მსუბუქი ხველა და მადის დაკარგვა. ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ 20-დან 13 გორილა კორონავირუსით იყო დაინფიცირებული. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრიმატები კოვიდ-19-ით, სავარაუდოდ, დაინფიცირდნენ ზედამხედველისგან, რომელიც დამცავ კოსტიუმს ატარებდა და სიმპტომები არ აღენიშნებოდა.

ამ დროისთვის ზოოპარკის თანამშრომლები ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობას თვალს ადევნებენ, განსაკუთრებულ ყურადღებას კი 60 წლის მამარ საელად ოზის უთმობენ, რომელიც კოვიდ-19-ის გართულების ყველაზე მაღალი რისკის შემცველია. გამოჯანმრთელების შემდეგ გორილებს ზოეტის სპეციალური ვაქცინით აცრიან. უახლოეს დღეებში ვაქცინას ზოოპარკის სხვა ბინადარნიც მიიღებენ, მათ შორის ორანგუტანგები, სუმატრული ვეფხვები, აფრიკული ლომები და ლეოპარდი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

13 სექტემბრისათვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა ეს გარისკვის საბაბს მაინც არ გაძლევთ. ავანტიურაში ნუ ჩაერთვებით. **კურო** – თუ ფინანსურად ამის საშუალება გექნებათ, ქველმოქმედებით დაკავდით. ინტიმურ პრობლემებზე ზედმეტი კონცენტრირება საჭირო არ არის. **ტყუპები** – იყავით სამართლიანი და ყველა გადაწყვეტილება აქედან გამომდინარე მიიღეთ. მოსალოდნელია ძველი კავშირების აღდგენა. **კირჩხიბი** – ინდივიდუალურად იმუშავეთ. პირად ცხოვრებას დიდ ყურადღებას ნუ დაუთმობთ. საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა გაამართლებს. **ლომი** – პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. დაძაბული დღეა. მოსალოდნელია კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან. **ქალწული** – დაკავდით სპორტით, ივარჯიშეთ. კარგი იქნება, თუ ადამიანებს შეძლებისდაგვარად დაეხმარებით. **სასწორი** – პრობლემების მოგვარებაში მეგობრები დაგეხმარებიან, თუმცა მთავარი გადაწყვეტილების მიღება მაინც თქვენ გეკისრებათ. **ღრიანკალი** – იაქტიურეთ. ძალები გონივრულად გადაანაწილეთ. ზედმეტი ამბიციურობა გავნებთ. **მშვილდოსანი** – ეგოიზმი, სიძუნწე, სიჯიუტე დათრგუნეთ. გონიერება და თავშეკავება დღის დევიზია. **თხის რქა** – მოსალოდნელია კამათი ხელმძღვანელ პირებთან. კონფლიქტი საკადრო საკითხებს უკავშირდება. **მერწყული** – აქტიური დასვენება ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. შეგიძლიათ მოაწესრიგოთ მნიშვნელოვანი დოკუმენტები. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. შესაძლოა ჰონორარი მიიღოთ. სირთულეები დროებით უკან რჩება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ერთგულების მტკიცე პირობა; 2. ვაზის, ღვინის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 3. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 5. დარიშხანის საბადო რაჭაში; 6. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 9. ყოველი უცხოურის სიძულვილი; 10. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 11. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. ქვის ბოძებზე დადგმული ფიცრული სახლი დასავლეთ საქართველოში; 16. ცნობილი ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი; 18. მეტყველების ნაწილი გრამატიკაში.

**თარაზულად:** 1. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 4. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 7. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 8. ქართული ხალხური ცეკვა; 11. აშშ-ში მოღვაწე სერბი ფიზიკოსი, გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 13. სპორტული სარბოლო მანქანა; 15. სასტუმრო თბილისში; 17. ბრიტანელი დრამატურგი, მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 19. პოლიციის ქვედანაყოფი საფრანგეთში; 20. ინდოეთის ეროვნული გმირი; 21. დედალი ცხენი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

